პროლეტარიატის ყველა ქვეყანანო, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტურ პარტიის ცენტრალური ტ. თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მუზეგურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია — თბილისი, რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული. რედაქციაში საქმის ოვის მოლაპარაკება შეიძლება ეროველდღე გარდ კვირა-უქმეებისა 10—11 ს. ტელეფონები (რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58, ადმინისტრაციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

მთავარი კანტორა — თბილისი, რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული, ტელეფონი 10—49. ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთა 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ექვსი თვეზე—1 მ. 20 კ., ხელისმოწერა მიიღება ყველ ... „ტრიბუნა“ და „მეცნიერება და ტექნიკა“. განცხადებები: ნომაორული სტრიქონი—20 კ., ... ფოთა ცოფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დ... კერძო პირებისა 50 კ. ... 3 ...

დღიური

— საფრანგეთის ვაჭარ-მრეწველთა წრეები კარაბ... ზეკანიის პასუხით.
— პრო. ... ...
— ... ...
— ... ...

ფასი 5 კაპ. № 168 (1323)

ხარასკევი, 24 იელისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

„კომუნისტი“ მიიღება ხელის მოწერა აგვისტოსათვის

1 თვით { მუშა-მოსამსახურეებისათვის 75 კ. / თბილისში და პროვინციაში

დანარჩენებისათვის { თბილისში 1 მან / პროვინციაში 1 მ. 20 კ.

კანტორა: რუსთაველის პრ. № 24. ტელეფ. № 10—49

იბეჭდება და ამ დღეებში დაურიგდება ხელისმოწერლებს

უფასო დამატებები:

1. „მეცნიერება და ტექნიკა“ № 13—14

2. „ჩირალდანი“ № 11—12

იუმორისტული განყოფილებით

„ეშმაკის მახე“ № 2.

საგარანტიო ხელშეკრულება და საბჭოთა კავშირი

გუშინ მკითხველი გაეცნობოდა გერმანიის პასუხს მოკავშირეებისადმი ე. წ. საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ. როგორც ვიცით, ეს ხელშეკრულების დადებას, მოკავშირეთა თვალსაზრისით, წინ უნდა უძღოდეს გერმანიის შესვლა ხალხთა ლიგაში. გერმანიის პოზიციას ამ საკითხში დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისათვის.

ახალი ამბავი არ არის, რომ ინგლისი სცდილობს ჩაბას ანტისაბჭოთა ბლოკში გერმანია. ეს კი შეაძლებლად მიიჩნია უკანასკნელს შეეყვანინა ხალხთა ლიგაში და მისი ამ ლიგის წესდებისათვის სრული დაქვემდებარებით. ხსენებულ წესდებაში, სხვათა შორის, არის ასეთი მუხლები: ხალხთა ლიგის ყოველი წევრი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა ამა თუ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ ექსპედიციაში, ლიგის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით; ამასთან იგი ვალდებულია გაატაროს თავის ტერიტორიაზე ჯარი ლიგის საბჭოს მიერ ათვალწუნებულ ქვეყანაზე შესასვლად.

მკითხველი მიხვდება, რომ თუ გერმანია შევიდა ხალხთა ლიგაში, ამ მუხლების თანახმად, შეეცდებიან მის გამოყენებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გერმანიაში სხვადასხვა ჯგუფებ შორის გაცხოველებული კამათი იყო გამართული ამ საკითხის გარშემო, ე. ი. ხალხთა ლიგაში გერმანიის შესვლის საკითხის გარშემო. საქმე ეხება გერმანიის ორიენტაციას,— დასავლეთისაკენ თუ საბჭოთა კავშირისაკენ—ისე სდგას საკითხი. ერთი მხრივ გერმანიის საქმიან ხალხს, მთავრობის წრეებსაც თითქო ესმით პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა საბჭოთა რესპუბლიკებთან დაახლოების. ეს არა ერთხელ განუცხადებიათ მათ. თითქოს ამასვე მოწმობს გერმანიის მოსკოველ ელჩის ბროკდორფ-რანცაუს დანიშვნა დელეგაციის ოავმჯდომარედ ჩვენთან ალაპრო ხელშეკრულების დასადებად. მეორე მხრივ გაქიანურება ამ ხელშეკრულების ჩამოყალიბების, ამასთან ის განგაში, რომელიც ატეხა გერმანიის ბურჟუაზიულ პრესას უმრავლესობამ გერმანელ ფაშისტების გან მართულის გამო, სულ სხვას გვიჩვენებს, სახელდობრ იმას, რომ გერმანიის მმართველი წრეები ყოყმანობენ, მაგ. აცდენენს საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების გარეშეულებით მოკავშირეებისაგან „მოწყალების“ მიღების იმედი.

ამ მერყეობამ, ორ სკამზე ჯდომის პოლიტიკამ ჰპოვა გამოხატულება გერმანიის უკანასკნელ ნოტაშიც. გერმანია წინააღმდეგი არ არის საგარანტიო ხელშეკრულების საკითხის დაკავშირებისა მისი ხალხთა ლიგაში შესვლის პრობლემასთან. მხოლოდ აცხადებს, რომ უკანასკნელი საკითხი „მოითხოვს კიდევ შემდგომ დამუშავებას, რადგან ჯერ კიდევ არსებობს საშიშროება, რომ გერმანია ჩაბმული იქნება მესამე სახელმწიფოების სამხედრო კონფლიქტებში“. ერთი სიტყვით, გერმანია მოითხოვს, რომ ზემოდ მოყვანილი მუხლები არ იქნან მასზე გავრცელებული. ამასთან გერმანია აცხადებს, რომ საგარანტიო ხელშეკრულება არ უნდა „ეხებოდეს მსოფლიო ომის შემდეგ დადებულ სხვა ხელშეკრულებათა“ ... „, რომაქ ნაგულისხმევია რაპალოს ხელშეკრულება.

ამ ... ...

ადმინისტრაციის და მუშა-მოსამსახურეთა პოლიტიკურ ტაბის მოფიქრების საკითხები

I

ჩვენი წარმოება-დაწესებულებათა მუშაობის სწორ ნიადაგზე დაყენება, სხვათა შორის, დამოკიდებულია ადმინისტრაციის და მუშა-მოსამსახურეთა ურთიერთობაზე. თუ ეს ურთიერთობა საღია, მუშაობაც სალი იქნება და შრომის ნაყოფიერებაც სათანადო სიმაღლეზე იდგომება. თუ-კი ურთიერთობა არანორმალურია და ხშირათ ადგილი აქვს კონფლიქტებს, მუშაობის შედეგიც ვერ იქნება სასურველი. ამიტომ, ფრიად საყურადღებოა ადმინისტრაციის და მომუშავეთა დამოკიდებულების ის ფორმებში ჩამოყალიბება, რომ ნაკლები იქნეს უთანხმოება და ყოველივერი დავა თავის დროზე იქნეს გადაჭრილი.

ადმინისტრაციის და მუშა-მოსამსახურეთა ურთიერთობის მოწესრიგებაში გადამწყვეტ როლს თამაშობ ს შემფასებელი საკონფლიქტო კომისია. ის არის პარიტეტული ორგანო, სადაც თანასწორი რაოდენობით იღებენ მონაწილეობას ადმინისტრაციის და მომუშავეთა წარმომადგენლები. ამ კომისიების მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით კიდევ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშაობა ვერ არის დაყენებული რიგზე. ბევრ შეცდომებს აქვს ადგილი. კომისიების მიერ საკითხები არ იჭრება სწორად რაც იწვევს ბევრ უკმაყოფილებას და გაუთავებელ საჩივრებს. რა უარყოფით მხარეებს ვხედავთ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშაობაში?

ბევრმა შემფასებელ საკონფლიქტო კომისიამ არ იცის თავის პრერადპირი დანიშნულება, არა აქვს ნათლად გარკვეული, თუ რა ფუნქციებია მასზე დაკისრებული. ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებების შემფ. საკონფლიქტო კომისიის წევრები სრულებით არ იცნობენ კომისიის არსებულ დებულებას. ყველაფერი ეს იწვევს იმას, რომ ისინი ერევიან ადმინისტრაციის მუშაობაში, ითვისებენ სხვის ფუნქციებს.

არსებული დებულებით შემფ. საკომისია არის პარიტეტული ორგანო. ეს თანასწორი რაოდენობა შედის ერთი მხრივ ადმინისტრაციის წარმომადგენელთა და მეორეს მხრივ მომუშავეთა წარმომადგენლის. კომისია არ ... ...

ერთვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლა ჩინეთში

კანტონის მთავრობ ს მიმართვა მსოფლიოს ყველა ერებისადმი

უცხო სახელმწიფოების შეთანხმება ჩინეთის საკითხში

უცხოელთა უბანი კანტონში უსურსათოდ.— ბოიკოტი გაფიცვა ბრძოლდება

შანხაელ სტუდენტთა ცენტრალური კავშირის მანიფესტი

კანტონის მთავრობის მოწოდება

მოსკოვი, 23 ივლისი. საბჭოთა კავშირის ცაკის მიერ მიღებულია კანტონის ნაციონალურ მთავრობის მოწოდება მთელი ქვეყნის ერებისადმი.

მოწოდებაში ჩინეთის მდგომარეობა დასურათებულია როგორც კოლონიის, **სადაც ბატონობენ ყველა ქვეყანები, ვინც კი ხელი მოაწერა ოქმს ბოქსერთა აჯანყების შემდეგ.** კანტონის მთავრობა აღნიშნავს ამ ბატონობის სხვადასხვა სახეს როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ ცხოვრებაში და გამოსთქვამს რწმენას, **რომ, სანამ უთანასწორო ხელშეკრულებანი არ იქნებიან გაუქმებული, მანამ ჩინეთი „ვერ მოაწყობს წესზე თავის ოჯახთ“.**

შემდეგ ნათქვამია მოწოდებაში: **„ჩვენ მოვითხოვთ, ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა დაუყოვნებლივ იყოს შეცვლილი სხვა ერებთან გათანასწორების ნიადაგზე. ჩვენ მოვითხოვთ გასახლებს ჩვენი საკუთარი სახლისას.**

უთანასწორო ხელშეკრულებათა მოსპობით მაშინათვე აღმოიფხვრებიან ის დამპალი ფესვები, საიდანაც აღმოცენდებოდა მთელი ჩვენი უბედურება და პირველ ყოვლისა ეკონომიური და პოლიტიკური ჩამორჩენა. უცხოელების ჩამოცლით ჩვენი მილიარიზმი დაუყოვნებლივ დაემხობა და ადგილს დაიპერს ნამდვილი დემოკრატია.

მთელი ქვეყნის ერებო! ჩვენ მოგმართავთ თქვენ სიმართლის სახელით! დაგვეხმარეთ იმ ბოროტების დამარცხებაში, რასაც წარმოადგენს უთანასწორო ხელშეკრულება“!

უსურსათოთ

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. „ასოშიეტედ პრესსი“ იუწყება კანტონიდან, **რომ უცხოელთა უბანს, რომელნიმე დღის განმავლობაში არ მიუღია სურსათ-ნაღვიანი, რადგან გაფიცვის გამო კანტონში ალარ მიდიან უცხოეთის გემები.**

შეთანხმება ჩინეთის საკითხში

ვაშინგტონი, 22 ივლისი. „ასოშეიტედ პრესის“ სააგენტოს ცნობით, სახელმწიფოებს შორის მიღწეულია შეთანხმება ჩინეთში პოლიტიკის შესახებ. მთელი რიგი მუხლებისა ჯერ კიდევ არ არის მიღებული ოფიციალურად, მაგრამ ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის დამოკიდებულება ამერიკის წინადადებისადმი დადებითია.

ტოკიოში მიღებულია ოფიციალური თანხმობა ამერიკის წინადადებაზე.

ამის გამო მოელიან, რომ დიპლომატიური კორპუსი პეკინში ახლო მომავალში წარუდგენს ჩინეთის ნოტას, რომელშიც მოყვანილი იქნება სახელმწიფოების მიერ შემუშავებული პოლიტიკის ფორმულა.

საგენტოს ცნობით ეს ფორმულა ითვალისწინებს საბაჟო კონფერენციის მოწვევას, კომისიის შეიქმნას ექსტერიტორიალურ უფლებების საკითხის განსახილველად და აგრეთვე ინგლისის წინადადებას შანხაის ამბებს ხელმეორედ გამოძიების შესახებ.

შანხაის სტუდენტთა მანიფესტი

პეკინი. 22 ივლისი. სტუდენტთა ცენტრალურმა კავშირმა შანხაიში შეადგინა სპეციალური სამხედრო კომიტეტი, რომელმაც გამოაქვეყნა შემდეგი შინარსის მანიფესტი:

„იმპერიალისტების პოლიტიკა ამჟამად გამომჟღავნებულია. **შანხაის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ დაიწყო სისტემატიზმდგრელი ამბები ხანკოუში, კანტონში და ბევრ სხვა ქალაქებში.**

რა შეგვიძლია ჩვენ, როდესაც ვიცით, რომ უფლება ძლიერთა მხარეზეა?

ჩვენ დ.გვჩენია მხოლოდ თავი მოუყაროთ ხალხთა ძალებს მთელ ქვეყანაში ამ მხეცებთან საბრძოლველად

სწორედ ამ მიზნით მოეწყო სამხედრო კომიტეტი, რომელიც სამხედრო საქმეს შეასწავლოს სტუდენტობას.

ამგვარად დარაზმულ კადრებს ეწოდებათ შანხაის სტუდენტთა არმია, რომელიც იქნება უდიდესი ძალა ქვეყნის გადასარჩენად.

შემდეგ მანიფესტი მოუწოდებს მოაწყონ ასეთივე კომიტეტები თვითეულ ქალაქში, თვითეულ პროვინციაში.

შანხაის გაერთიანებული კომიტეტის მოთხოვნილება.

პეკინი, 22 ივლისი. პეკინში ჩავიდენ შანხაის მუშათა, სტუდენტთა და ვაჭართა გაერთიანებული კომიტეტის წარმომადგენლები, **რომლებმაც მიმართეს დუან-ჩეი-ჩეუის შემდეგი მოთხოვნილებით, დაუყოვნებლივ გამოსცეს კანონი პროფკავშირების შესახებ შანხაის მუშათა ორგანიზაციების მიერ გამომუშავებულ საფუძვლებზე, გადასდოს მილიონი დოლარი შანხაის გაფიცულთა დასახმარებლათ, წამოაყენოს სახელმწიფოებს კონფერენციაზე საგამრო პალატის მოთხოვნილების ნაცვლად, გაერთიანებული კომიტეტის 17 მოთხოვნილება.**

მდგომარეობა ჰონკონგში

პეკინი, 22 ივლისი. იაპონიის დეპეშათა სააგენტოს „ტოხოს“ ცნობით მდგომარეობა ჰონკონგში უცვლელია. მუშები ძველებურად უარს ამბობენ მუშაობის განახლებაზე. საუცხოო დისციპლინას იცავენ განსაკუთრებით მეზღვაურები: არც ერთი მეზღვაური არ დაუბრუნდა სამუშაოს მიუხედავად ჰონკონგის ხელისუფლების რეპრესიული ზომებისა.

სამუშაო დროს გაფლანგვა

15 ივლისს საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ პარტიულ და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლების დასწრებით მოახდინა მოფლოდნელი გამოკვლევა ი ისა, თუ რამდენად თავის დროზე ცხადდებიან სამსახურში საბჭოთა მოსამსახურენი. გამოკვლევა შეეხო შემდეგ კომისარიატებს და დაწესებულებს: შრომის სახ. განათლების, ჯანმრთელობის, სოციალურ უზრუნველყოფის, შინაგან საქმეთა და მეწათ-მოქმედების სახ. კომისარიატებს, სახელმწიფო კურორტთა მთავარ სამმართველოს საქ. სახელმწიფო ვაჭრობის ამხანაგობას, ცეკავშირს და წარმოკავშირს.

აღნიშნულ კომისარიატებსა და დაწესებულებებში თანამშრომელთა საერთო რიცხვი უდრის 725 კაცს (მხედველობაშია მიღებული მხოლოდ დაწესებულებათა ცენტრში მომუშავე თანამშრომელნი). აქედან გამოკვლევის დროს შეებულებაში იყო 69 და მივლინებაში 121 თანამშრომელი; დანარჩენ 535-ში 133 პასუხისმგებელი თანამშრომელი და 402 ტეხნიკური (ან და ისეთები, რომელნიც ვალდებული არიან გამოცხადდენ სამსახურში 8 საათისათვის).

გამოკვლევა ვვიჩვენებს, რომ 133 პასუხისმგებელ თანამშრომლიდან დილის 8 საათისათვის გამოცხადდა 51, ან 39 პროც., დაგვიანა 15 წუთით 24, ან 18 პროც., 15-30 წუთამდე 17 ან 12 პროც., 30-60 წუთამდე 21 ან 16 პროც., ერთ საათზე მეტი 20 ან 15 პროც.—**ხაეროდ დაგვიანა 82 პასუხისმგებელმა თანამშრომელმა, რაც შეადგენს ყველა პასუხისმგებელ თანამშრომლების 61 პროც.**

რაც შეეხება ტეხნიკურ თანამშრომლებს, მათ საერთო რიცხვიდან (402) დილის 8 საათისათვის გამოცხადდა სამსახურში 252, ან 62,6 პროც. დაგვიანა 15 წუთით 56—13,9 პროც. 15—30 წუთამდე 41 ან 104 პროც. 30—60 წუთამდე 30 ან 7,4 პროც. ერთ საათზე მეტი 23 ან 5,7 პროც. საერთოდ დაგვიანა 150 ტეხნ. თანამშრომელმა, რაც შეადგენს ყველა ტეხნიკურ თანამშრომლების რიცხვთან შედარებით 37.4 პრ.

თუ ცალ-ცალკე ავიღებთ დაწესებულებას, დავინახავთ, რომ ზოგან შრომის დისციპლინა დაყენებულია სათანადო დონეზე, როგორც, მაგალითად, სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში. ჯანმრთელობის და განათლების სახალხო კომისარიატებში თავის დროზე გამოცხადდა მხოლოდ მესამედი თანამშრომლებისა, სახელმწიფო საპაიო საკერავ ამხანაგობაში კი გამოცხადდა ნახევარი. სახელმწიფო კურორტთა მთავარ სამმართველოში 16 თანამშრომლიდან (რომელნიც თბილისში იმყოფებიან) თავის დროზე გამოცხადდა მხოლოდ 2.

სარეგისტრაციო წიგნი ზოგან შეიოღებულია, ზოგან არა. იქ, სადაც შემოღებულია, მას ხშირად აწარმოებენ დაუდევრად.

ამ რიგად, საერთოდ დაწესებულებებში თანამშრომლების დაგვიანებას აქვს მასიური ხასიათი. მასთან თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებასაც, რომ თანამშრომლები ხშირად სამუშაო დროს ახმარებენ პირად საქმეებს: ლაპარაკს, გაზეთების კითხვას და სხვას, ცხადია, რომ სამუშაო დროს დიდ ნაწილი ისარჯება სრულიად უნაყოფოდ.

ასეთი მოვლენა დაუშვებელია; ამას უნდა მოელოს ბოლო. საჭიროა თვით თანამშრომლებმა შეიგნონ შრომის დისციპლინის საჭიროება, შეიგნონ, **რომ საჭიროა მათთვის მინდობილ საქმეს მოახმარონ შრომისათვის დაწესებული დრო** და ამით გამოიჩინონ კეთილსინდისიერება და ხელი შეუწყონ საქმის ნაყოფიერებას და დაწესებულების მიერ დასახულ ამოცანების განხორციელებას. ის თანამშრომლები კი, რომელნიც არ დაიკავენ შრომის დისციპლინას და სამსახურს გამოიყენებენ მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის, უნდა გამოვაცხადოთ საბჭოთა ხელისუფლების მოღალატეები

უნდა გამოუცხადოთ სასტიკი ბრძოლა დროს გაფლანგვას.

კონკრეტიულად უნდა მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები:

1. პროფესიონალურ კავშირებმა უნდა გაატარონ ყველა დაწესებულებაში კამპანია დისციპლინის დამყარებისათვის და დროს გაფლანგვის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად.

2. უნდა დაწესებულ იქნეს ჯარიმა სამსახურში დაგვიანებისათვის (საგრთოდ დროს გაფლანგვისათვის) და სასტიკად გატარებულ იქნეს ცხოვრებაში ეს წესი.

3. დაწესებულებების ხელმძღვანელებმა შრომის დისციპლინის დამყარებას უნდა მიაქციონ მეტი ყურადღება, ვიდრე ამას დღემდის ჰქონდა ადგილი. ამ საქმეში მათ მხრივ დაუდევრობა უნდა ჩაითვალოს ბოროტებად მათთვის სათანადო შედეგებით.

4. პასუხისმგებელ თანანამშრომლებისათვის (მათ შორის ხელმძღვანელებისათვისაც) უნდა დაწესებულ იქნეს განსაზღვრული დრო მათი მუშაობისათვის დაწესებულებაში. რომ ეს წესი მართლაც განხორციელებულ იქნეს, ხსენებულ თანამშრომლებს სამუშაო დროს განმავლობაში არ უნდა ჰქონდეთ არსად არავითარი სხდომები. ამისათვის შეიძლება, მაგალითად, დაწესდეს, რომ 9—12 საათამდე აკრძალულია სხდომები და ყველა პასუხისმგებელი თანამშრომელი უნდა იყოს თავ-თავის ადგილზე, როგორც კერძო პირების, აგრეთვე თანამშრომელთა მისაღებად და მიმდინარე საქმეების გასარჩევად.

3·

იტალია და საბჭოთა კავშირი

საუბარი იტალიის ახალ გენერალურ ელჩთან თბილისში—ბ. ვინჩენცო გალანტისთან

ეკონომიური ურთიერთობა.—მომავლის პერსპექტივები.—იტალიის და საბჭოთა კავშირის მეგობრობა.—

გუშინ, დღის პირველ საათზე, თბილისში ახლათ დანიშნულ იტალიის გენერალურ ელჩს ბ. ვინჩენცო გალანტის ესტუმრა ჩვენი თანამშრომელი, რომელსაც მასთან ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი.

საუბრის დროს, რომელიც ერთი საათი გაგრძელდა, ბ. ვინჩენცო გალანტიმ განაცხადა:

— ამჟამად ეკონომიური ურთიერთობა იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის შესამჩნევათ განმტკიცდა. თვალსაჩინოთ გაიზარდა იტალიის საქონლის შემოტანა საბჭოთა კავშირში და ამ უკანასკნელის ფაბრიკატების და ნედლი მასალის იმპორტი იტალიაში.

საბჭოთა კავშირის მონაწილეობამ მილანის გამოფენაზე დიდი როლი ითამაშა იტალიის კომერციული წრეების მიერ საბჭოთა კავშირის ფაბრიკატების და ნედლი მასალის ახლო გაცნობის საქმეში.

ამ ჟამათ ეკონომიური ურთიერთობა ორივე ქვეყნებს შორის შეეყარდა საეჭვო დამოკიდებულების გაცხოველების ხანაში.

მოგვარებულია ექსპორტი ნავთის პროდუქტებისა, რომლების ღირსებით სავსებით კმაყოფილია არიან როგორც იტალიის მთავრობა, ისე იტალიის კომერციული წრეები.

დადებულია მსხვილი გარიგება სამი წლის ვადით 500.000 ტონა დონის ნახშირის შესატანათ იტალიაში. ამას გარდა იტალია მეტათ დაინტერესებულია რკინეულობით, რომელიც მრავლათ მოიპოვება საბჭოთა კავშირში. ახლო ხანში მოგვარებული იქნება რკინეულობის ექსპორტი საბჭოთა კავშირიდან იტალიაში.

იტალია განსაკუთრებით დაინტერესებულია სატყეო მასალით, რომელიც საკმაოა რკინის გზისათვის „შპალების“ დასამზადებლათ. რასაკვირველია ამ ჟამათ ძნელია იმის თქმა, თუ როგორ ფორმას მიიღებს იტალიის დაინტერესება სატყეო მასალით, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხის შესახებ ორივე ქვეყანას შორის მიღწეული იქნება შეთანხმება და მოწესრიგდება სატყეო მასალის ექსპორტი იტალიაში.

მეორე მხრივ, პურის კარგი მოსავლის გამო, ალბათ, მოგვარებული იქნება პურის ექსპორტიც.

შემდეგ ბ. ვინჩენცო გალანტიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ ამიერ-კავკასიაში იტალიის სამრეწველო წრეები აწარმოებენ მუშაობას მეგობრულ-შემეობის დარგში და ის დარწმუნებულია, რომ ეს მუშაობა დადებით შედეგებს გამოიღებს ორივე ქვეყნისათვის.

დასასრულ ბ. ვინჩენცო გალანტიმ განაცხადა, რომ ის პირველათ არ არის საბჭოთა კავშირში, ის იყო იტალიის საელჩოს მრჩეველი მოსკოვში, შემდეგ კი გენერალური კონსული ოდესაში. ყველგან, სადაც მე ვიყავი, — ამბობს გალანტი, — მე მხვდებოდენ თავაზიანათ და სრულ დახმარებას მიწევდენ.

ბ—ი.

—

გუშინ დილით იტალიის გენერალური ელჩი თბილისში ბ. ვინჩენცო გალანტი მიიღო გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის რწმენენებულის მოადგილემ ამხ. გენდელმანმა, რომელთანაც მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

გერმანია და მოკავშირეები

პარიზის პრესა საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების შესახებ

პარიზი 22 ივლისი პარიზის პრესამ არ შეიცვალა თავისი სკეპტიკური დამოკიდებულება საფრანგეთ - გერმანიის მტკიცე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობისადმი გერმანიის პასუხის სრულათ გამოქვეყნების შემდეგაც.

გაზეთები ამტკიცებენ, რომ გერმანია მხოლოდ განსაკუთრებულ საგებლიანობას ეძებს თავისთვის იმ დროს, როდესაც [illegible] „მხოლოდ და მხოლოდ“ საერთაშორისო უშიშროებაზე ზრუნავს.

მაგრამ, პრესაში მაინც სჩანს სურვილი თავიდან აიცილონ ახეთი სიძნელენი დაწყებულ მოლაპარაკების ჩაშლა, რადგან ეს ძლიერ უკმაყოფილებას გამოიწვევდა ინგლისში, და აგრეთვე ხელს შეუწყობდა გერმანია-საბჭოთა კავშირის ბლოკის შექმნას, რომელიც მომართული იქნება დასავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ.

მემარცხენე ბლოკის ორგანო „ევრა“-ი ცინიკურათ აცხადებს, რომ გერმანიამ არჩევანი უნდა მოახდინოს საბჭოთა კავშირსა და დანარჩენ სახელმფოებს შორის.

წინააღმდეგ ზოგიერთი გაზეთების თავდაჭერილ პოზიციისა **ფინანსიური ორგანოები აცხადებენ, რომ ისინი კმაყოფილი არიან შეთანხმების მიღწევამ დაშკებულ წინასწარი მოლაპარაკებით.**

ასე, მაგალითად, სან-ფილის საგანგებო, რომელიც კარგათ იცნობს საბირჟო წრეების სულიერ განწყობილებას, ურჩევს მთავრობას „ნუ აყენებს ერის საკითხის გიპნოზს, არამედ გააგრძოს მოლაპარაკება, **რომლის დროსაც** უნდა იხელმძღვანელოს არა ვერსალის ხელშეკრულებით, არამედ მსოფლიო რეფერენდუმ“.

გერმანიის საპასუხო ნოტის ბარშემო

ლონდონი, 22 ივლისი. „დეილი ჰერალდ“-ის დიპლომატიური კორესპოდენტი დამტკიცებულათ სთვლის, **რომ ინგლისის მთავრობას გერმანიის ხოტა დამაკმაყოფილებელ საფუძვლათ მიაჩნია ბოლოპარაკების გასაგრძელებლად.**

კორესპონდენტის სიტყვებით, ინგლისის დიპლომატიის პირველი ამოცანა მდგომარეობს იმაში, **რომ გამონახული იქნეს კომპრომისი, რომელიც შეარიგებს ჰარიზსა და ბერლინს.**

კორესპონდენტი დასკვნის, **რომ საფრანგეთ-გერმანიის შერიგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პოლონეთის და ჩეხო-სლოვაკიის პოზიციას.**

გერმანიის პრესა საპასუხო ნოტის შესახებ.

ბერლინი, 22 ივლისი. კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“-ს გარდა, ყველა მიმართულების პრესის ორგანოები, მათ რიცხვში ნახევრათ ტეგეონური „დეიჩე �ეტუნგ“-იც, საერთოდ იწონებენ გერმანიის მთავრობის საპასუხო ნოტას.

გაზეთები შტრეზემანის ნოტას „მოხერხებულათ“ სთვლიან, თუმცა ხაზს უსვამენ იმას, **რომ ნამდვილი დიპლომატიური დაბრკოლებები ჯერ კიდევ გადასალახავია.**

ვაჭრობა გრძელდება

„იზვესტია“-ს ფურცელი

მოსკოვი, 23 ივლისი. „იზვესტია“ ასეთი სათაურით მოწინავე წერილში საგარანტიო ხელშეკრულების საკითხზე გერმანიის საპასუხო ნოტის შესახებ სწერს:

„გერმანიის საპასუხო ნოტაში მნიშვნელობა აქვს **ორ** მუხლს:

ჯერ ერთი, გერმანია თანახმაა რა ერთა ლიგაში შესვლაზე, მოითხოვს ვალდებულებებისაგან განთავისუფლებას, ე. ი. თანახმად ერთა ლიგის გადაწყვეტილებისა მონაწილეობა მიიღოს ლიგის სამხედრო გამოსვლაში იმ ერთა წინააღმდეგ, რომელნიც არ ემორჩილებიან ლიგის დადგენილებებს.

მეორე, გერმანია მოითხოვს განთავისუფლებას ვალდებულებებისაგან თავის ტერიტორიაზე გაატაროს ერთა ლიგის ან მის შემადგენლობაში შემავალ სახელმწიფოების ჯარები იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც არ ემორჩილება ერთა ლიგის გადაწყვეტილებებს. ამ მოთხოვნილებას აქვს განსაკუთრებულ მნიშვნელობა საბჭოთა კავშირისათვის, ვინაიდან საგარანტიო ხელშეკრულება უპირველესყოვლისა მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ: ამ ხელშეკრულებამ უნდა შექმნას მტკიცე ბუფერი ინგლისისათვის იმ შემთხვევაში, თუ ადგილი იქნა საბჭოთა კავშირთან შეტაკებას და ამავე დროს მისცეს ინგლისს, როგორც ერთა ლიგის ხელმძღვანელ სახელმწიფოს, საშუალება გამოიყენოს გერმანია პლაცდარმათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გერმანიის პასუხი ნიშნავს გერმანიასა და საფრანგეთს შორის მოლაპარაკების დაწყებას არსებითად. ამ დრომდე გერმანიის 7 თებერვლის მემორანდუმი და საფრანგეთის ნოტა წარმოადგენს მხოლოდ ტაქტიკურ მანევრს, **რომლის შესახებ შეუძლებელი იყო თქმა იმისა, თუ** როგორ დამთავრდებოდა იგი. ეხლა დაიწყო ბრძოლა მთავარ პოზიციებზე“

მოხსენება საბჭოთა იუსტიციის შესახებ

პარიზი, 22 ივლისი. ამ დღეებში დეპუტატთა პალატაში შესდგა საფრანგეთ-საბჭოთა პარლამენტარულ ჯგუფის სხდომა. ცნობილმა საბჭოთა იურისტმა პროფ. ჩლენოვმა მოხსენება გაუკეთა საფრანგეთის დეპუტატთა პალატის წევრებს საბჭოთა იუსტიციის შესახებ. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია პარლამენტარულ წრეებში.

ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოების არჩევნები საფრანგეთში.

კომპარტიის პოზიცია.

პარიზი, 22 ივლისი. ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოების მომავალ დამატებით არჩევნებზე კომპარტია დაიკავებს ისევ თავის ჩვეულებრივ პოზიციას.

კომპარტია წინადადებას აძლევს ყველა მუშებს, სადაც კი კომუნისტების კანდიდატურა მოხსნილი იქნება, ხმა მისცენ სოციალისტებს. აქვეყანათ, მუშა-რეფორმისტებს საშუალება მიეცემათ გააქარწყლონ თავიანთი უკანასკნელი თავმოტყუება, რადგან სოციალისტების პოლიტიკას აუცილებლათ მოელის გაკოტრება.

ომი მაროკოში

გენერალ ნოლენმა მიიღო მაროკოში საფრანგეთის ჯარების სარდლობა

პარიზი, 22 ივლისი. „ჰავასის“-სააგენტოს ცნობით გენერალი ნოლენი ჩავიდა ფეცში, სადაც მარშალ ლიოტესთან საუბრის შემდეგ დაუყოვნებლივ მიიღო საფრანგეთის ჯარების სარდლობა.

ალმოსავლეთში

ინდოეთი

მოტილლა ნეჰრუ მთავრობას უჩივდება.

ლონდონი, 22 ივლისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება: სვარაჯისტების (ნაციონალისტების) პარტიის ბელადი მოტილლა ნეჰრუ დათანხმდა შეავიდეს მთავრობის კომიტეტში, რომელსაც თავმჯდომარეობს გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი სკინი. ამ უკანასკნელის მეზობლად საშუალებების გამონახვა ინდოეთის ქვაფიციერი ახალგაზრდობის ჩასაბმელათ სამხედრო საქმეში.

ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სვარაჯისტების პარტიის წევრი შედის მთავრობის კომიტეტში.

გერმანელი და შვეიცელი მუშები საბჭოთა კავშირში

გერმანიის დელეგაცია მოსკოვის საბჭოში

მოსკოვი, 23 ივლისი. 22 ივლისს გერმანიის დელეგაცია დაესწრო მოსკოვის საბჭოს სხდომას. საბჭოს სახელით დელეგაციას მისალმა ამხ. ლიუბიმოვი. დელეგაციის სახელით მხურვალე მადლობა გადაუხადა ფრაიბერგერმა, რომელიც საგანგებოთ აღინიშნავდა მუშათა მთელიანი ფრონტის შექმნის საჭიროებას.



ძმაკაცურ ფრაიბერგერი
გერმ. მუშათა დელეგაციის თავმჯდომარე.

შემდეგ ლიუბიმოვმა გააცნო საბჭოს მუშობა ყველა დარგებში.

სხდომის შემდეგ დელეგატები გამემგზავრენ სხვადასხვა საწარმოოთ დაწესებულებათა დასათვალიერებლად.

შვეიცის დელეგატები ფაბრიკა-ქარხნებში

ძოსკოვი, 23 ივლისი. შვეიცის დელეგაციამ დაათვალიერა მრავალი ფაბრიკა-ქარხანა. დელეგატების ერთმა ჯგუფმა ინახულა ტელეფონის სადგური, სადაც მათ მიეგებენ დიდის პატივისცემით. ჯგუფში აღმოჩდენ ელექტროტექნიკოსებიც, რომლებიც გათიცებაში მოვიდენ ტელეფონის ქსელის ასეთი აწრფილი განვითარებით საბჭოთა კავშირში. შემდეგ ინახულეს რადიო-სადგური და მანაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მიტინგი ფოთელ მოელდანზე

მოსკოვი, 23 ივლისი. ფოთელ მოელდანზე გაიმართა დიდი მიტინგი მოსკოვში ჩამოსულ გერმანიისა და შვეიცის მუშების დელეგაციების პატივისაცემათ.

მრავალ დროშებს ამშვენებენ წარწერანი რუსულ, გერმანულ და შვეიცარულ ენაზე.

პირველ ყოვლისა გერმანიის დელეგაციამ გვიჩვენი დაასვენა ლენინის საფლავზე და შემდეგ გაიხსნა

ძმაკაცურ ბროზე
მშენებელთა რევოლიუციონერი კავშირის დელეგატი, კომუნისტი
(გერმ. მუშათა დელეგატი)

მიტინგი ამხ. მიხაილოვის თავმჯდომარეობით.

პირველათ ილაპარაკა ამხ. **რიკოვმა, რომელიც** მიესალმა დელეგატებს **მთელ** დედამიწაზე **პირველ** მუშურ-**გლეხურ** ხელისუფლების სახელით.

შემდეგ ილაპარაკა ამხ. **ბუხარინმა, რომელმაც** აღნიშნა დასავლეთ **მუშათა** კლასის დახმარება **საბჭოთა კავშირისადმი** კრიტიკულ **მომენტ**ში. ის **იმედს** გამოსთქვა, **რომ** ნეტარებელ **მოელდანი** **ბრ** **იმ**ენ **ამ** **დახმარ**ებას.

ძმაკაცურ ბროზე
მშენებელთა რევოლიუციონერი კავშირის დელეგატი, კომუნისტი
(გერმ. მუშათა დელეგატი)

შემდეგ ლიაპარაკა **ამხ. ბუხარინმა, რომელმაც** აღნიშნა დასავლეთ **მუ**შათა კლასის **დახმარება** საბჭოთა **კავშირისადმი** კრიტიკულ **მომენ**ტში. ის **იმედს** **გამ**ოსთქვა, **რომ** **ნეტ**არებელ **მ**ოელდანი **ბრ** **ი**მენ **ამ** **დ**ახმარ**ებას**.

ამხ. **ბ**ოროდინ **ბ**ოლ**ო**ს **ბ**ოლ**ო**ს **ბ**ოლ**ო**ს

რა ხდება უცხოეთში.

მილიონერების მთავრობა

შეერთებული შტატების მთავრობას საგარეოლიანად შეგვიძლია უწოდოთ მილიონერების მთავრობა, 10 მინისტრიდან 6 მილიონერია.

ყველაზე დიდი სიმდიდრის პატრონია ფინანსთა მინისტრი მელონი. მის ხელებს აფაასებენ 600—1200 ათას მანეთად. მეორეა ერთი უმდიდრესთაგანია ამერიკაში ფასზე მდიდარი მზოლოდ როკფელერი, ფორდი ან მორგანი თუ იქნება.

ეკონომის მინისტერი გუვერის ქონებას უდრის 16 20 მილიონ მანეთს.

გარეშე საქმეთა მინისტრი კელოგი 10 მილიონი მანეთის პატრონია. ეს თანხა მან „ბოგოროვა“ მისი მეგობრების ცნობით, როცა რკინის გზების კომპანიების ფერიკოსნულტი იყო.

ზრუნის მინისტერი დევისი „ღარბია“ სხვა თავის ამხანაგებთან შედარებით მისი ქონება უდრის 4 ილიონ მანეთს. ნაწილი ამ თანხისა მან „შეიძინა“, როცა ერთი დიდი ურთიერთი დამხმარე საზოგადოების ხელმძღვანელი იყო, მეორე ნაწილი კი—როგორც ბანკირმა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერტ ფორდმა მილიონები „გაკეთა“ სხვა და სხვა „საქმიანობით“ (ფაბრიკების გამეტ, სამოწყვლელ კომპანიების რწმენებული და სხვა).

საზღვრო მინისტრი ჯაკსი მილიონერი გახდა რამდენიმე წლის წინათ ბირჟაზე მანონაციების წყალობით.

„საშიში იდეები“ ჰოლანდიის ჯარში

ჰოლანდიის სამხედრო სამინისტრომ მეტად საინტერესო ბრძანება გასცა ჰოლანდიის ინდოეთში მდგომ ჯარებისადმი.

ბრძანებაში ნათქვამია, რომ ჯარისკაცები ხშირად შედიან რევოლიუციონურ ორგანიზაციებში, ესწრებიან ამ ორგანიზაციების კრებებს, აწარმოებენ რევოლიუციონურ პროპაგანდას, კითხულობენ და ავრცელებენ რევოლიუციონურ ფურცლებს; ამიტომ ჯარისკაცებს ეკრძალებათ რევოლიუციონურ ორგანიზაციებში შესვლა. ეს აკრძალვა ვრცელდება აგრეთვე მათი ოჯახის წევრებზეც. ჯარისკაცებს აკრძალული აქვთ აგრეთვე საჯარო კრებებზე დასწრება. ბრძანების შეუსრულებლობისათვის მათ სასტიკი სასჯელი მოელის.

ავიო-ყაჩაღები

26 ივნისს გაძარცვეს კანზას-სიტის (შეერთებული შტატი) ქალაქის ბანკი. ბანდიტები მიფრინდნენ აეროპლანთ, გაატაცეს დიდი თანხა და გაფრინდნენ. პოლიცია დაედევნა ყაჩაღებს ორი აეროპლანით, მაგრამ ამაოთ.

გადაფრენა რომი—მოსკოვი

ახლო ხანში იტალიელ სამხედრო მფრინავების ერთი ჯგუფი კაპიტან საკკის ხელმძღვანელობით აწყობს გადაფრენას რომი—მოსკოვი.

ინგლისის ჯარის მანევრები

ლონდონში ახლო ხანში დამთავრდება მზადება ინგლისის არმიის დიდი მანევრებისათვის. მანევრები დაიწყება აგვისტოში 50.000 კაცისგან შემდგარი არმია გაყოფილი იქნება ორ ნაწილათ: აღმოსავლეთ და დასავლეთ არმიებათ. სანომუშო ბრძოლაში გამოყენებული იქნება სათმარი ტანკის ყველა დარგები.

ზარალი აფეთქებისაგან

ამა წლის 8 ივლისს არსენალში მომხდარმა აფეთქებამ თბილისს მიაყენა 155.524 მან. 18 კაპ. ზარალი.—

იმ შენობებისათვის მიყენებული ზარალი, რომლების თბილისის აღმასკომს ეკუთვნის:

1. დარაბები და სხვა შენობები, რომლებიც დაზიანების ცნობა შეკრებილია თბილისის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს აპარატის საშუალებით—47 342 მან. 94 კაპ

2. მუნიციპალიზაციაქმნილი სახლები—7430 მან. 72 კ.

3. საბინაო-საარმშენებლო კოოპერაციის სახლები—419 მან. 53 კაპ.

4. მუშათა საბინაო კოოპერაციის სახლები—3984 მან. 80 კაპ.

5. აღმასკომის განათლების განყოფილების გამგებლობაში მყოფი სახლები—3285 მან. 25 კაპ.

6. აღმასკომის განათლების განყოფილების გამგებლობაში მყოფი სახლები—6.239 მან. 63 კაპ.

7. აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების გამგებლობაში მყოფი სახლები—81 მან.

8. 20 პროცენტი იმ ზარალისა, რომელიც ვერ მოხდა რეგისტრაციაში—13.756 მან. 80 კ.

სულ ჯამი—82.540 მან. 67 კაპ.

9. კერძო პირების ზარალი უდრის—53.391 მან. 68 კ.

10 სახელმწიფო შენობების დაზიანებით გამოწვეული ზარალი, გარდა რკინისგზის შენობებისა, შეადგენს—19.591 მან. 83 კაპ.

8 ივლისის აფეთქებამ თბილისს მიაყენა სულ 155.524 მან. 18 კაპ. ზარალი.

გ.

ეკონომიური ცხოვრება

თბილისის ფართლეულობის ბაზარი

ივლისის პირველ ნახევარში

ფართლეულობის ფასები თბილისის ბაზარზე წესდება სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილების ფასების მიხედვით.

ამიტომ ფართლეულობის ბაზრის დასახასიათებლათ საკმარისი იქნება მოვიყვანოთ საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილების მუშაობის დამახასიათებელი ცნობები.

ფართლეულობის საბითუმო და საწვრილმალო ვაჭრობა ივლისის პირველი ნახევრის განმავლობაში თბილისის ბაზარზე გაცხოველებული იყო. სოფლის მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობა რამოდენიმეთ გაუმჯობესდა აბრეშუმის პარკის, ხილის და ბოსტნეულობის შეგროვებისა და გასაღების გამო. ქალაქის მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა კი უცვლელია, ის ჯერჯერობით დაბალ დონეზე რჩება.

მოთხოვნილება ბამბის ქსოვილებზე დიდი; განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნილება ტანთსაცმელის და საცვლების ქსოვილებზე. პირველიდან თექვსმეტ ივლისამდე თბილისის განყოფილებამ საკმაო რაოდენობით მიიღო ყოველგვარი საქონელი როსკოვიდან. ძაფდაყენებს საშუალება ჰქონდათ შეეძინათ მათთვის საჭირო ქსოვილები.

სუსტი მოთხოვნილებაა მაუდზე და აბრეშუმის ქსოვილებზე. როგორც წინეთ, ისე ეხლაც ხალისით ყიდულობენ საკოსტიუმე ქსოვილებს. ბოსოლოდ და ქ ოვილების შემადგენლობა (ასორტიმენტი) დამაკმაყოფილებელია.

რაც შეეხება სელის ქსოვილებს, აქ რაიმე განსაკუთრებულ ცვლილებებს ადგილი არა აქვს; საგრძნობი ხდება სეზონის დასასრულის მოახლოება.

ძაფებიდან დიდი მოთხოვნილებაა „ჯაკვის“ ძაფებზე; დანარჩენი მარკის ძაფები იძულებით სადდება. მოთხოვნილება გაძლიერდა აგრეთვე ჩუქებზე და წინდებზე, რომელიც ცოტაა ბაზარზე.

ნაკრობითი ვაჭრობა სწარმოებს ორ საწვრილმალო მაღაზიაში ყიდულობენ, როგორც თბილისელი, ის პროვინციელი ვაჭრები. საწვრილმალო მაღაზიების ბრუნვის 50 პროც. მოდის ნაჭრობით ვაჭრობაზე.

საწვრილმალო ვაჭრობა მეტად გაცხოველდა; ქალაქის და ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობა მრავლათ აწყდება საწვრილმალო მაღაზიებს. კერძო ბაზარი კარგად ვაჭრობს. კერძო ვაჭრებს საქონელი მიაქვთ, უმთავრესად, საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილებიდან.

განყოფილებას კოოპერატების უმრავლესობა შეადგენენ კოოპერატივები; ეხლდება კერძო ვაჭრების რიცხვიც; სახელმწიფო ორგანოები ეხლა ეერო ცოტას ყიდულობენ, ვიდრე წინეთ იყო: საქონლის გაცვლის პირობებში ცვლილებები არ მომხდარა.

მეცხვარეთა საზოგადოება „ბირლიკი“

(საძარბევლოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის მასალებიდან)

„ბირლიკ“-ს გამგეობის მოქმედების გამოკვლევა გაპოწვეული იყო ინსპექციაში სხვადასხვა დროს შემოსულ საჩივრებით და განცხადებით, რომლების ავტორები აღნიშნავდენ ხსენებული გამგეობის უკანონო მოქმედებას და ბრალს სდებდენ მას სხვადასხვა ბოროტ-მოქმედებაში.

ს-ბა „ბირლიკ“-ს ძირითადი თანხა არ ჰქონია, რის გამო ყველა ოპერაციებს აწარმოებდა ნასიათ. ს-ბის ანარატი სასურველათ არ არის დაყენებული. განყოფილებების ადგილობრივი დათვალიერება და რევიზია არ მოხდარი და ამიტომ გამგეობამ არ იცის, თუ როგორ ნაწილდება განყოფილებებისათვის მიცემული თანხები და რამდენათ რიგდება დანიშნულებისამებრ გაგზავნილი საქონელი.

ძველი გამგეობის მოქმედების გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ ანგარიშები არეულ-დარეულია, არ იყო ორგანიზაციის ნამდვილი მდგომარეობის მაჩვენებელი ბალანსი, რის გამო ახალი გამგეობა იძულებული გახდარა მოეწესრიგებინა ეს საქმე, გამოეყვანა ბალანსი და აგრეთვე მიმდინარე წლის ოპერაციებით შემოსული თანხებიდან დაეფარა 75.000 მან. ძველი ვალები.

დამზადებითი ოპერაციებს ს—ბა აწარმოებს უმთავრესად სამეურნეო წესით (საკუთარ აპარატის საშუალებით) და აგრეთვე ნარდათ, კერძო პირთა საშუალებით. ასე, მიმდინარე წელში ს-ბას დაუმზადებია 12.200 ფ. მატყლი საშუალოდ 10 მან. ფუთი. აქედან 8000 ფ. მატყლი საზოგადოებას მიუღია წევრებისაგან, რაც ცხადათ ამტკიცებს ს-ბის მიერ წევრთა შორის დამახასრებულ ავტორიტეტს. მატყლის დამზადებაში და გასაღებაში ს-ბას არ გადაუხვევია შინა-საქმრების კომისიონერის მიერ დამტკიცებულ ფასებისგან.

„ბირლიკ“-ს თავის მოქმედებაში დიდი ყურადღება მიუქცევია ეცხვარე გლეხების ინტერესებით დაკმაყოფილებისათვის (50 პროც.).

სამიზნო კრედიტის უქონლობა ხელს უშლის საზოგადოებას ასეთივე კრედიტი გაუხსნას წევრებს, რის გამო ძირითადი პრინციპი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა—საქონლის ჯიშის გაუჯობესება, რძის ნაწარმოების კოლექტიურათ დამუშავება და სხვა ჩანასახის პერიოდშია.

ს-ბა „ბირლიკ“-ში ამ ჟამად ირიცხება 1000 წევრამდე, მაგრამ საწევრო გადასახადი მეტად მცირეა—569 მან. 70 კაპ. ამ თანხის გასაძლიერებათ გამგეობას მიმდინარე წელს შეუძენია 6.000 ცხვარი. ასე გაძლიერება ძირითადი თანხისა მეტად სასურველია.

გამგეობის ანგარიშიანობა ერთობ დამაკმაყოფილებელია გარდა იმისა, რომ ოპერაციებზე გაწეული სხვადასხვა ზედნადები ხარჯები არ არის თავის დროზე აღრიცხული და სათანადოთ გატარებული, რის გამო პირდაპირ შეუძლებელია გამორკვევა იმის, თუ რომელ საქონლის ოპერაციას რა შედეგი მოჰყვა. განყოფილებებში კი ანგარიშიანობა სწარმოებდა მეტად პრიმიტიულად, ანგარიშებს ადგენენ ნახევარ წლობით. ხოლო ამ ხნის განმავლობაში ანაწილებდენ ცენტრიდან მიღებულ საქონელს და საკრედიტო თანხებს გამგეობის ზედამხედველობის და კონტროლის გარეშე.

სავაჭრო ოპერაციების განისჯვამ, რომლების წარმოების ბალანსზე საუბარია, ეს ოპერაციები ეკუთვნიან: ა) ქ. ავტომობილების საავტომობილო საზოგადოებამ თავის საზოგადო კრებაზე დაადგინა გახსნას ამხ. შ. ელიავას სახელობის ავტოსახელოსნო.

— **შრომის პირობების გამოსარკვევად.** შრომის სახ. კომისარიატის შრომის ბაზრის განყოფილებამ გამოჭყო კომისია, რომელსაც დაევალა სხვადასხვა ქალაქებში არსებული საზოგადო საამუშაოებზე მომუშავეთა შრომის პირობების გამოკვლევა.

— **„სავაჭრო სამართალი“.** გამოვიდა სერგო ჯაფარიძის წიგნი: „სავაჭრო სამართალი“. პროლეტარიატუდენტთა აღმასბიუროს გამოცემა.

— **საექიმო საექსპერტო კომისია.** საექიმო კომისიებში გაგზავნილ პირთათვის, რომელიც უკმაყოფილონი არიან საექიმო კომისიის დასკვნით, თბ. დამზღვევ სალაროსთან მოეწყო ხელმეორედ შესამოწმებლად საექიმო-სექსპერტო კომისია.

— **სიმფულიაციის წინააღმდეგ.** თბ. დამზღვევ სალარომ გამოსცა წიგნი: „რატომ უნდა იბრძოლონ თავთ დაზღვეულებმა სიმფულიაციის წინააღმდეგ“. წიგნი ეფასოდ დაურიგდება დაზღვეულებს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საშუალებით.

— **სამკითხველო უფუფევართათვის.** შრომის ბირჟამ თავის ხარჯზე აიყვანა საშუამავლო ბიუროსთან არსებული უმუშევართა სამკითხველო.

— **მუშების მოთხოვნილება.** ამ ჟამად დიდი მოთხოვნილებაა შრომის ბირჟაზე აღშენებელ მუშების და მემანქანეების.

— **დახმარების გაცემა.** უმუშევართათვის ივლისის თვის ფულადი დახმარების გაცემა, რომელიც დანიშნული იყო 27 ივლისს, ამ დღის დასასვენებელ დღეთ გამოცხადების გამო მოხდება 28 ივლისს.

— **თბ. აღმასკომის სამხედრო** სექციამ დაადგინა იშუამდგომლოს აღმასკომის წინაშე, რათა სახბინო კოოპერაციასთან დაარსებული იქნას სამხედრო სექცია, სამხედრო მოსამსახურეთათვის და უვადო შვებულებაში წასულ წითელარმიელებისათვის ბინებით უზრუნველყოფის მიზნით.

— **დემობილიზაციით** ჯარიდან განთავისუფლებულ წითელარმიელების თავიანთ სამშობლო ადგილებზე დასაგზავნად, თბ. აღმასკომის სამხედრო სექციამ აღძრა შუამდგომლობა საქ. კაკის წინაშე საჭირო თანხის გაღების შესახებ.

— **სკოლებში ბავშვების მიღება.** თბ. აღმასკომის განათლების განყოფილებამ დაადგინა თბ. ყველა ტიპის სკოლებში [illegible] ბავშვების მიღება ბავშვების ჩასარიცხად ამა თუ იმ ჯგუფში, რათა განყოფილებას საშუალება ეძლეს სამოსწავლო წლის დაწყებამდე გამოარკვიოს რამდენი ახალი ჯგუფის გახსნა იქნება საჭირო.

— **საზოგადო მუშაობა.** ხაშურში უკვე მოეწყო საზოგადო სამუშაოები.

— **საექიმო დახმარება.** შრომის სახ. კომისარიატმა თბილისის საზოგადო სამუშაოებზე მომუშავეთათვის სასწრაფო საექიმო დახმარების გასაწევად მიავლინა 3 ფერშალი პატარა აფთიაქებით მომარაგებულნი.

— **სალარძაყინე ხეები.** მიწადმოქმ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ გასულ საანგარიშო წლის პირველ ნახევარში გლეხებს მისცა უფასოდ სახლების საჭიროებისათვის 3.895 ცალი სალარძაყინე ხეები.

— **ხარდანი.** ამავე გასყოფილებამ გასულ საანგარიშო წლის პირველ ნახევარში უფასოდ მისცა ულარიბეს გლეხებს უფასოდ 138.575 ცალი ხარდანი, ღირებული 940, მან.

— **თბ. საზოგადო სამუშაოებზე** ამჟამად ითვლება 557 მუშა.

— **ჩაის გასაღება.** ივლისის თვის განმავლობაში სახელმწიფო-სახალხო მაძულთა ტრესტმა გაასაღა 83.208 გირ. ჩაი.

— **ჯავარის ექსპორტი,** ივლისის განმავლობაში ამერ.-კავკასიიდან საზღვარგარეთ გაიზიდა 320 ფუთი ჯავარი.

— **ამერ.-კავკასიის მეთამბაქოეობა** სესხად მიეცა 2.170.000 მან. მეთამბაქოობის წარმოების გასაუმჯობესებლ. ად.

ხელოვნება

— **„მიწისძვრა“** დღეს საბჭოთა მოსამსახურეთა ბინების კლუბში (ვერის ხიდთან) ამხ. სტეფანეს ეაიკოთხანეს ლექციას თემაზე „მიწისძვრა“.

— **ნიკოლაძეთა და ფლოტის ბალში** დღეს გაიმართება ფარიანის ფრამატიული დასის სალამი.

— **განათლების მუშაკთა კლუბში.** დღეს, გაიმართება მეორედ სიმფონიური კონცერტი სტოლეტმანის ხელმძღვანელობით.

— **საზაფხულო კლუბი „მეცადინეა“** დღეს აჩვენებენ კინო-სურათს „ბინის მკვლელი“.

— **ებრაული თეატრი** დღეს შინაგრეწველობისა და ხელოსნების კლუბში გაიმართება ებრაული წარმოდგენა მეორედ.

ქრონიკა

მომავალი სეზონი სახელმწიფო თეატრებში

(საუბარი ხელოვნების საქმეთა მთავარ საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. გედევანიშვილთან)

სახელმწიფო ოპერის სეზონი გაიხსნება 15 ოქტომბერს.—დაგეგმული იქნება ხუთი ახალი ქართული ორიგინალური ოპერა.—საოპერო დასში იქნებიან სახელო. ი. ეაშვილი, კიკვიძე, ბაბალო, ბოკოლია, პანკრატოვა და სხვ.—სახელმწიფო დრამა-ში დადგმული იქნება ხუთი ახალი ორიგინალური პიესა.—ორივე თეატრის მთავარ რეჟისორათ მოწვეულია კოტე მარჯანიშვილი.

ოპერა

სახელმწიფო ოპერის მომავალი სეზონის წარმოების გეგმა დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე: ოპერის გაერთვნება შესაძლებლობის ფარგლებში და ამ მიზნით რეპერტუარის შეესება ახალი ორიგინალური ოპერებით და აგრეთვე ნათარგმნი კლასიკური ოპერებით.

განზრახულია დადგმა შემდეგი ახალი ორიგინალური ოპერებისა: **ირაკლი ჯაბადარის ოპერა** „ეულეონორა“ (ყაბზეის თხზულებიდან), **მელიტონ ბალანჩივაძის** „თამარ ცბიერი“, **არაყიშვილის** კომიკური ოპერა „სიცოცხლე სახარულია“, **ლევან ფალიაშვილის** „ვეფხვის ტყაოსანი“ და **იპოლიტოვ-ივანოვის** „ოლატი“.

ნათარგმნი ოპერებიდან დადგმული იქნება „კარმენ“, „სევილიელი დალაქი“, „ფაუსტი“, „ჯამბაზები“ და „ფარული ქორწინება“.

განზრახულია კვირაში არა ნაკლებ ერთი ქართული ოპერის დადგმა.

რაც შეეხება დასის შემადგენლობას, იგი აგებული იქნება ორ პრინციპზე; გარედან მოწვეული იქნება მხოლოდ რამდენიმე მსახიობი ე. ისიც საუკეთესო გამოჩენილი ძალები. მაქსიმალურათ გამოყენებული იქნებიან ადგილობრივი ახალგაზრდა ძალები.

რაც შეეხება მხატვრულ მხარეს, ამასაც განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. ოპერის რეჟისორის მთავარ ხელმძღვანელათ მოწვეულია **კოტე მარჯანიშვილი** და სპეციალისტი რეჟისორი—**ცეზარ ურბნელ** (კიევის სახელმწიფო ოპერიდან).

განზრახულია რამოდენიმე ოპერის სრულიად ახალი დადგმა. გარდა ამისა, სრულიად გადახალისებული იქნება ორკესტრის და გუნდის შემადგენლობა ახალგაზრდა ძალების საშუალებით.

თეატრის ადმინისტრაციას განზრახული აქვს მუშათა კლუბებში საოპერო წარმოდგენების სისტემატიური გამართვა არა ნაკლებ ორჯერ კვირაში.

სეზონის გახსნა მოსალოდნელია 15 ოქტომბერს.

სხვათაშორის, მომავალ სეზონში საოპერო დასში იქნება ცნობილი ქართველი მომღერალი **სანდრო ინაშვილი,** რომელიც ახლო ხანში ჩამოვა საზღვარგარეთიდან. სხვა გამოჩენილ მსახიობთა შორის უკვე მოწვეულნი არიან ცნობილი დრამატიული ტენორი **კიპარენკო-დავანსკი** (საუკეთესო ტენორი მთელს საბჭოთა კავშირში), ცნობილი ლირიული სოპრანო **ბოკოვა,** ცნობილი კოლორატურული სოპრანო **პოპოვა,** და მოლაპარაკება სწარმოებს დრამატიულ სოპრანო **პანკრატოვასთან.**

მომავალ სეზონში საოპერო დასთან ერთად იმუშავებს საოპერო სტუდია, რომელიც ამჟამად მეცადინეობს ბორჯომში. **უახლოესი** სეზონის განმავლობაში რამოდენიმე ოპერის დადგმა განსაკუთრებით სტუდიელთა ძალებით. ამას გარდა, სტუდია ამზადებს თავის ორკესტრს, რომლის შემადგენლობიდან უფრო მომზადებული მუსიკოსები ჩარიცხული იქნებიან საოპერო თეატრის ორკესტრში.

დრამა

სახელმწიფო დრამაში რჩება იგივე დასი კოტე **მარჯანიშვილის** ხელმძღვანელობით. რეპერტუარი უკვე შემუშავებულია და განზრახულია, სხვათაშორის, შემდეგი ახალი ორიგინალური პიესების დადგმა: „შიწის ძერა ლასაბორში“—**კაკაბაძისა,** „სინათლე“—**მეორე ნაწილი—ი. გედევანიშვილისა,** „ლამარა“—**გრიგოლ რობაქიძისა,** „წინანნი უკან, უკანანი წინ“—**ახალი კომედია აზიანისა** და „ტრაგედია ოს“ **კარლო კალანძისა.**

კლასიკური პიესებიდან: „ჰამლეტი“—**შექსპირისა ახალი** დადგმით, „ალი გალიაში“—**გერმანული პიესა** და ზოგიერთი უკვე დადგმული პიესები.

შ—ა.

ფამფარა

— ა ! ქ. ავტომობილების საავტომობილო საზოგადოებამ თავის საზოგადო კრებაზე დაადგინა გახსნას ამხ. შ. ელიავას სახელობის ავტოსახელოსნო.

— შრომის პირობების გამოსარკვევად. შრომის სახ. კომისარიატის შრომის ბაზრის განყოფილებამ გამოჭყო კომისია, რომელსაც დაევალა სხვადასხვა ქალაქებში არსებული საზოგადო საამუშაოებზე მომუშავეთა შრომის პირობების გამოკვლევა.

— „სავაჭრო სამართალი“. გამოვიდა სერგო ჯაფარიძის წიგნი: „სავაჭრო სამართალი“. პროლეტარიატუდენტთა აღმასბიუროს გამოცემა.

— საექიმო საექსპერტო კომისია. საექიმო კომისიებში გაგზავნილ პირთათვის, რომელიც უკმაყოფილონი არიან საექიმო კომისიის დასკვნით, თბ. დამზღვევ სალაროსთან მოეწყო ხელმეორედ შესამოწმებლად საექიმო-სექსპერტო კომისია.

— სიმფულიაციის წინააღმდეგ. თბ. დამზღვევ სალარომ გამოსცა წიგნი: „რატომ უნდა იბრძოლონ თავთ დაზღვეულებმა სიმფულიაციის წინააღმდეგ“. წიგნი ეფასოდ დაურიგდება დაზღვეულებს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საშუალებით.

— სამკითხველო უმუშევართათვის. შრომის ბირჟამ თავის ხარჯზე აიყვანა საშუამავლო ბიუროსთან არსებული უმუშევართა სამკითხველო.

— მუშების მოთხოვნილება. ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა შრომის ბირჟაზე აღშენებელ მუშების და მემანქანეების.

— დახმარების გაცემა. უმუშევართათვის ივლისის თვის ფულადი დახმარების გაცემა, რომელიც დანიშნული იყო 27 ივლისს, ამ დღის დასასვენებელ დღეთ გამოცხადების გამო მოხდება 28 ივლისს.

— თბ. აღმასკომის სამხედრო სექციამ დაადგინა იშუამდგომლოს აღმასკომის წინაშე, რათა სახბინო კოოპერაციასთან დაარსებული იქნას სამხედრო სექცია, სამხედრო მოსამსახურეთათვის და უვადო შვებულებაში წასულ წითელარმიელებისათვის ბინებით უზრუნველყოფის მიზნით.

— დემობილიზაციით ჯარიდან განთავისუფლებულ წითელარმიელების თავიანთ სამშობლო ადგილებზე დასაგზავნად, თბ. აღმასკომის სამხედრო სექციამ აღძრა შუამდგომლობა საქ. კაკის წინაშე საჭირო თანხის გაღების შესახებ.

— სკოლებში ბავშვების მიღება. თბ. აღმასკომის განათლების განყოფილებამ დაადგინა თბ. ყველა ტიპის სკოლებში [illegible] ბავშვების მიღება ბავშვების ჩასარიცხად ამა თუ იმ ჯგუფში, რათა განყოფილებას საშუალება ეძლეს სამოსწავლო წლის დაწყებამდე გამოარკვიოს რამდენი ახალი ჯგუფის გახსნა იქნება საჭირო.

— საზოგადო მუშაობა. ხაშურში უკვე მოეწყო საზოგადო სამუშაოები.

— საექიმო დახმარება. შრომის სახ. კომისარიატმა თბილისის საზოგადო სამუშაოებზე მომუშავეთათვის სასწრაფო საექიმო დახმარების გასაწევად მიავლინა 3 ფერშალი პატარა აფთიაქებით მომარაგებულნი.

— სალარძაყინე ხეები. მიწადმოქმ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ გასულ საანგარიშო წლის პირველ ნახევარში გლეხებს მისცა უფასოდ სახლების საჭიროებისათვის 3.895 ცალი სალარძაყინე ხეები.

— ხარდანი. ამავე გასყოფილებამ გასულ საანგარიშო წლის პირველ ნახევარში უფასოდ მისცა ულარიბეს გლეხებს უფასოდ 138.575 ცალი ხარდანი, ღირებული 940, მან.

— თბ. საზოგადო სამუშაოებზე ამჟამად ითვლება 557 მუშა.

— ჩაის გასაღება. ივლისის თვის განმავლობაში სახელმწიფო-სახალხო მაძულთა ტრესტმა გაასაღა 83.208 გირ. ჩაი.

— ჯავარის ექსპორტი, ივლისის განმავლობაში ამერ.-კავკასიიდან საზღვარგარეთ გაიზიდა 320 ფუთი ჯავარი.

— ამერ.-კავკასიის მეთამბაქოეობა სესხად მიეცა 2.170.000 მან. მეთამბაქოობის წარმოების გასაუმჯობესებლ. ად.

ხელოვნება

— „მიწისძვრა“ დღეს საბჭოთა მოსამსახურეთა ბინების კლუბში (ვერის ხიდთან) ამხ. სტეფანეს ეაიკოთხანეს ლექციას თემაზე „მიწისძვრა“.

— ნიკოლაძეთა და ფლოტის ბალში დღეს გაიმართება ფარიანის ფრამატიული დასის სალამი.

— განათლების მუშაკთა კლუბში. დღეს, გაიმართება მეორედ სიმფონიური კონცერტი სტოლეტმანის ხელმძღვანელობით.

— საზაფხულო კლუბი „მეცადინეა“ დღეს აჩვენებენ კინო-სურათს „ბინის მკვლელი“.

— ებრაული თეატრი დღეს შინაგრეწველობისა და ხელოსნების კლუბში გაიმართება ებრაული წარმოდგენა მეორედ.

მომავალი სეზონი სახელმწიფო თეატრებში

(საუბარი ხელოვნების საქმეთა მთავარ საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. გედევანიშვილთან)

სახელმწიფო ოპერის სეზონი გაიხსნება 15 ოქტომბერს.—დაგეგმული იქნება ხუთი ახალი ქართული ორიგინალური ოპერა.—საოპერო დასში იქნებიან სახელო. ი. ეაშვილი, კიკვიძე, ბაბალო, ბოკოლია, პანკრატოვა და სხვ.—სახელმწიფო დრამა-ში დადგმული იქნება ხუთი ახალი ორიგინალური პიესა.—ორივე თეატრის მთავარ რეჟისორათ მოწვეულია კოტე მარჯანიშვილი.

ოპერა

სახელმწიფო ოპერის მომავალი სეზონის წარმოების გეგმა დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე: ოპერის გაერთვნება შესაძლებლობის ფარგლებში და ამ მიზნით რეპერტუარის შეესება ახალი ორიგინალური ოპერებით და აგრეთვე ნათარგმნი კლასიკური ოპერებით.

განზრახულია დადგმა შემდეგი ახალი ორიგინალური ოპერებისა: **ირაკლი ჯაბადარის ოპერა** „ეულეონორა“ (ყაბზეის თხზულებიდან), **მელიტონ ბალანჩივაძის** „თამარ ცბიერი“, **არაყიშვილის** კომიკური ოპერა „სიცოცხლე სახარულია“, **ლევან ფალიაშვილის** „ვეფხვის ტყაოსანი“ და **იპოლიტოვ-ივანოვის** „ოლატი“.

ნათარგმნი ოპერებიდან დადგმული იქნება „კარმენ“, „სევილიელი დალაქი“, „ფაუსტი“, „ჯამბაზები“ და „ფარული ქორწინება“.

განზრახულია კვირაში არა ნაკლებ ერთი ქართული ოპერის დადგმა.

რაც შეეხება დასის შემადგენლობას, იგი აგებული იქნება ორ პრინციპზე; გარედან მოწვეული იქნება მხოლოდ რამდენიმე მსახიობი ე. ისიც საუკეთესო გამოჩენილი ძალები. მაქსიმალურათ გამოყენებული იქნებიან ადგილობრივი ახალგაზრდა ძალები.

რაც შეეხება მხატვრულ მხარეს, ამასაც განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. ოპერის რეჟისორის მთავარ ხელმძღვანელათ მოწვეულია **კოტე მარჯანიშვილი** და სპეციალისტი რეჟისორი—**ცეზარ ურბანი** (კიევის სახელმწიფო ოპერიდან).

განზრახულია რამოდენიმე ოპერის სრულიად ახალი დადგმა. გარდა ამისა, სრულიად გადახალისებული იქნება ორკესტრის და გუნდის შემადგენლობა ახალგაზრდა ძალების საშუალებით.

თეატრის ადმინისტრაციას განზრახული აქვს მუშათა კლუბებში საოპერო წარმოდგენების სისტემატიური გამართვა არა ნაკლებ ორჯერ კვირაში.

სეზონის გახსნა მოსალოდნელია 15 ოქტომბერს.

სხვათაშორის, მომავალ სეზონში საოპერო დასში იქნება ცნობილი ქართველი მომღერალი **სანდრო ინაშვილი,** რომელიც ახლო ხანში ჩამოვა საზღვარგარეთიდან. სხვა გამოჩენილ მსახიობთა შორის უკვე მოწვეულნი არიან ცნობილი **დრამატიული ტენორი კიპარენკო-დავანსკი** (საუკეთესო ტენორი მთელს საბჭოთა კავშირში), ცნობილი ლირიული სოპრანო **ბოკოვა,** ცნობილი კოლორატურული სოპრანო **პოპოვა,** და მოლაპარაკება სწარმოებს დრამატიულ სოპრანო **პანკრატოვასთან.**

მომავალ სეზონში საოპერო დასთან ერთად იმუშავებს საოპერო სტუდია, რომელიც ამჟამად მეცადინეობს ბორჯომში. **უახლოესი** სეზონის განმავლობაში რამოდენიმე ოპერის დადგმა განსაკუთრებით სტუდიელთა ძალებით. ამას გარდა, სტუდია ამზადებს თავის ორკესტრს, რომლის შემადგენლობიდან უფრო მომზადებული მუსიკოსები ჩარიცხული იქნებიან საოპერო თეატრის ორკესტრში.

დრამა

სახელმწიფო დრამაში რჩება იგივე დასი კოტე **მარჯანიშვილის** ხელმძღვანელობით. რეპერტუარი უკვე შემუშავებულია და განზრახულია, სხვათაშორის, შემდეგი ახალი ორიგინალური პიესების დადგმა: „შიწის ძერა ლასაბორში“—**კაკაბაძისა,** „სინათლე“—**მეორე ნაწილი—ი. გედევანიშვილისა,** „ლამარა“—**გრიგოლ რობაქიძისა,** „წინანნი უკან, უკანანი წინ“—**ახალი კომედია აზიანისა** და „ტრაგედია ოს“ **კარლო კალანძისა.**

კლასიკური პიესებიდან: „ჰამლეტი“—**შექსპირისა ახალი** დადგმით, „ალი გალიაში“—**გერმანული პიესა** და ზოგიერთი უკვე დადგმული პიესები.

შ—ა.

ფამფარა

— ა ! ქ. ავტომობილების საავტომობილო საზოგადოებამ თავის საზოგადო კრებაზე დაადგინა გახსნას ამხ. შ. ელიავას სახელობის ავტოსახელოსნო.

— შრომის პირობების გამოსარკვევად. შრომის სახ. კომისარიატის შრომის ბაზრის განყოფილებამ გამოჭყო კომისია, რომელსაც დაევალა სხვადასხვა ქალაქებში არსებული საზოგადო საამუშაოებზე მომუშავეთა შრომის პირობების გამოკვლევა.

— „სავაჭრო სამართალი“. გამოვიდა სერგო ჯაფარიძის წიგნი: „სავაჭრო სამართალი“. პროლეტარიატუდენტთა აღმასბიუროს გამოცემა.

— საექიმო საექსპერტო კომისია. საექიმო კომისიებში გაგზავნილ პირთათვის, რომელიც უკმაყოფილონი არიან საექიმო კომისიის დასკვნით, თბ. დამზღვევ სალაროსთან მოეწყო ხელმეორედ შესამოწმებლად საექიმო-სექსპერტო კომისია.

— სიმფულიაციის წინააღმდეგ. თბ. დამზღვევ სალარომ გამოსცა წიგნი: „რატომ უნდა იბრძოლონ თავთ დაზღვეულებმა სიმფულიაციის წინააღმდეგ“. წიგნი ეფასოდ დაურიგდება დაზღვეულებს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საშუალებით.

— სამკითხველო უმუშევართათვის. შრომის ბირჟამ თავის ხარჯზე აიყვანა საშუამავლო ბიუროსთან არსებული უმუშევართა სამკითხველო.

— მუშების მოთხოვნილება. ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა შრომის ბირჟაზე აღშენებელ მუშების და მემანქანეების.

— დახმარების გაცემა. უმუშევართათვის ივლისის თვის ფულადი დახმარების გაცემა, რომელიც დანიშნული იყო 27 ივლისს, ამ დღის დასასვენებელ დღეთ გამოცხადების გამო მოხდება 28 ივლისს.

— თბ. აღმასკომის სამხედრო სექციამ დაადგინა იშუამდგომლოს აღმასკომის წინაშე, რათა სახბინო კოოპერაციასთან დაარსებული იქნ

მუშათა ცხოვრება

№ 1 თუ № 2?

(ტრამვაის დირექციის საყურადღებოდ)

ოპერის თეატრთან რამდენიმე კაცი ელის ტრამვაის.

— რკინისგზის სამმართველოსთან № 2? ორელი ტრამვაი მიდის, № 1 თუ ჰკითხავს ერთი დედაკაცი მეორეს.

— არ ვიცი, არ მახსოვს, წადი თავისუფლების მოედანზე, ან ლენინის ქუჩაზე და იქ სწერია, რომელი ნომერი საითკენ მიმართება,—მიუგებს მეორე.

— ბარემ ფეხით წავალ, სადაც მივდივარ, რაღა ვეძებო...

— უკრო ოქეთესი, სამი შაური ჯიბეში დაგრჩება...

— უწინ რომ ყველა ვაგონზე ეწერა თავი და ბოლო ადგილები და აგრეთვე შუაში—მიმართულება, ის არა სჯობდა?

— სჯობდა, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— არ ვიცი, ამბ. ფარნიეს ჰკითხეთ...

მუშა **ნიკო ას—ლი.**

ჩვენ რად გვჩაგრავენ

(შრომის ინსპექტორის საყურადღებოდ)

ჩვენ, რკ. გზის მეოთხე უბნის მეცხრე საოსტატოს დღიური მუშები, ვმუშაობთ რონების ცეცხლზე. მუშების რიცხვი აქ აღწევს 60 კაცამდე. ფულის დარიგების დროს მივედით ფულის ასაღებად და გადმოგვიყარეს ცხრამეტი შაური (95 კ.), რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მუშებში.

მეხუთე უბანში კი დარიგებულა ხელფასი უფრო მეტი რაოდენობით, მეოთხეში რა არის მაზეზი არ ვიცით. საბჭოთა ხელისუფლების დროს ასეთ მოვლენებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

საჭიროა ეს საქმე გამოარკვიოთ და სათანადო ზომები მიიღოთ.

დინ. — **მუშა.**

ჩვენც მოგვივრწყვეთ ქუ-ჩები

(აღმასკომის საყურადღებოდ)

ავლაბარში კახეთის ქუჩას არ ღირსებია არა სდროს მორწყვა, სადაც მეტ წილად მუშა-მოსამსახურეები სცხოვრობენ სუყველა ტრამვაის ლიანდაგები ირწყვება და კახეთის ქუჩა კი არა, ჩვენ ავლაბრის მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეებსაც ძალიან გვეინტერესება, თუ როგორ რწყავს ტრამვაი ქუჩებს. კახეთის ქუჩაზეცაც აუარებელი მტვერი იცის, მასზე გავლა ძალიან ძნელია ამ სიცხე-პაპანაქებაში.

აღმასკომო, მეც ჩვენს მდგომარეობაშიც.

მუშკორი ალ. ბეგიაშვილი.

გამოვასწორებთ აუცილებლად

„კომუნისტი“-ს № 122-ში მოთავსებულ წერილის შესახებ საოსტატოში „ალაგმეთ ქუჩის ქალები საიდანაც სჩანდა, რომ სოლოლაკის ქუჩაზე თავს იყრიან ქუჩის ქალები, გაცნობებთ რომ ჩვენს მიერ მიღებულია ყოველგვარი გადამჭრელი ზომები ასეთი მოვლენის სრულიად მოსასპობლად.

ეუმუშევარი:

წერილებიდან

განთიადის თემი. (ბურია). ეს თემი მდებარეობს გურიის ადმოსავლეთით. სწავლა-განათლების მხრივ შეიძლება ითქვას რომ ის თითქმის სხვა თემებზე წინ სდგას. აქ არსებობს ყველა კულტურული და საზოგადოებრივი დაწესებულებანი. ზემოხსენებულ სოფელთან ერთი ვერსის მანძილზე დაშორებულია აგარაკი ორკე, რომელიც ნეძიების გამორკვევით ძლიერ უხდება ფილტვებით დაავადმყოფებულებს. აგარაკი მთლიანად ნაძენარშია. ზაფხულობით აქ დიდძალი ხალხი იყრის თავს. მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს აგარაკს. ეს ის, რომ აქ აო არის გამოყვანილი წყალი, არ არის ფეხისალაგი, აგარაკზე არ მოიძებნება არც ექიმი. საჭიროა გურიის ჯანმრთელობის განყოფილებამ მიაქციოს ყოველივე ამას განსაკუთრებული ყურადღება.

მუშკორი ნიავი.

—

სად. ბოსლეკი. ამ სადგურში რკინის გზის ლიანდაგის შემკეთებლებთან მსახურობენ ე. კახნიაშვილი, ი. მ ზთაძე და მალაკეფლიძე, რომლებიც ლაზლანდარობის და უზრდელი სიტყვების ხმარების მეტ თითქმის არაფერს აკეთებენ. მათი შიშით, იმ მიმართულებით, სადაც ისინი მუშაობენ, ვერ გაუვლიათ ადგილობრივად მცხოვრებ ქალებს. ამის ფაქტები აუარებელია. ასეთი ვეცბატონების წინააღმდეგ აუცილებლად საჭიროა რკინის ცოცხი.

ადგილობრივი გლეხი.

ჭოყოლოს თემი (თელავის მაზრა). ეს თემი ერთადერთი თემია თელავის მაზრაში რომელიც ძლიერ ჩამორჩენილია კულტურულ განვითარების მხრივ. ივნისის პირველ რიცხვებში ჩვენ გვესტუმრა ამხ. მ. კახიანი, რომელმაც ადგილობრივი პირობების და მუშაობის დათვალიერების შემდეგ, ჭოხსამკითხველოს შემოსწირა ასორმოცდაათი მანეთი. ჭოყოლოს თემის საბჭო და აღმასკომი დიდ მადლობას უძღვნის ამხ. კახიანს ასეთი ყურადღებისათვის.

აღმასკომის თავმჯდომარე

გ. ბრელაშვილი.

—

კოკის თემი (ზუგდიდის მაზრა). დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც კოკის თემში დაარსდა ფოსტა-ტელეგრაფი. ეს უეჭველად დიდი მიღწევაა. ამ ბოლო დროს აქ ეწყობა ტელეფონიც, რომლისთვის საჭირო მასალა შემოსწერა ამხ. ლ. თოდუაძ. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ ხანებში თემში ყოველმხრივ გამოცხოველდა მუშაობა. მხოლოდ ერთი ნაკლი, რომელსაც უნდა მიეჭეცეს მოგალში ყურადღება არის ის, რომ ჩვენ არა გვაქვს სასოფლო-სამეურნეო სკოლა და არ არის გაკეთილი სარწყავი არხი, ადგილობრივი გლეხკაცობა ამ საქმის მოსაგვარებლად ძალიან მოუდოვებული და თუ იქნება ერთიანი ინიციატივა, ყველაფერიც გაკეთდება.

ივ—დინ.

სოფლის ქრონიკა

— **ტყვიავის** გლეხკომის მეთაურობით გლეხებმა კოლექტიურად დაამუშავეს 14 დღიური ხეხილის ბაღი და 300 დღიური სასნავი მიწა.

— **წერა-კითხვის** უცოდინარობასთან ბრძოლა სიღნაღის [illegible] ინსტიტუტებმ გადასწყვიტა მაზრაში შეუდგეს წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას სოფლებში მოწყობილი იქნება სათანადო კურსები.

— **სკოლის გახსნა.** შორაპნის აღმასკომის განათლების განყოფილებას განზრახული აქვს სოფ. სამაში გახსნას დაბალი საფეხურის სკოლა.

— **ს ფ. თერჯოლის** (შორ. მ. ზრ.) გლეხებმა სოფლეს სამაზრო აღმასკომს, იშუამდგომლოს მიწადმ ქ. კომისიონერის წინაშე, რათა მათ დაწესებულ ფასებში მიეცეთ შეშა, ტყეებიდან.

— **ტრაქტორის შეძენა.** სოფ. ჩიმლაყში (სიღნაღის მაზრა) შეიდა გლეხთა ამხანაგობა, რომელმაც უკვე გამოიწერა ტრაქტორი.

— **პურის მოსავალი.** სიღნაღის მაზრაში პურის მოწევა სწარმოება ნაყოფიერად. მთავარ რაიონში მოსავალი კარგია ბაზარზე უკვე შემოვიდა ახალი პური, რის გამო პურზე ფასებმა საგრძნობლად დაწია.

— **ავანასეთის** სასოფლო-სამეურნეო ბანკის ჩრდილოეთ კავკასიაში შეიძინა 160,000 ფუთი სიმინდი ულარიბეს და სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულ გლეხებისათვის დასარიგებლად.

— **ზუგდიდის** აღმასკომმა გადასწყვიტა დაიწყოს სოფლებში საბაზრო დღეები, რომ მით გლეხობას უფრო გაუადვილდეს ქალაქის ნაწარმოებთა მიღება და სოფლის ნაწარმოებთა გასაღება.

— **გლეხების ნადი.** გლეხების ნადმა „წინსვლა“-მ (შორაპნის მაზრაში) დაიქირავა შეიძინა ტრაქტორი.

— **დავა საძოვრებზე.** ახალქალაქის აღმასკომმა დაიანგარიშა, განყოფილებას დანიშნოთ მოსამართლე მაზრის სოფლებს შორის აღძრული დავები საჩივრების შესახებ.

— **ბორის** აღმასკომმა გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე ბორის მაზრის უმუშევრებს პუნქტებში გაბნევა თავის საკუთარ ეკონომიურ გაუმჯობესებისთვის სესხის მიცემის გასადგილებლად.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 49

ა | კ. ს. ფ. ს. რ. [illegible]-ვ ჭითბის **სახკომის რწმუნებულის საქართველოში.**

24 ივლისი 1925 წ.

საუფლო ფოთელ აგურზე ნაზღვრეთა საგებაცვიდ და ეაბ სგბის შესახებ:

თანახმად ა | კ ს. ფ ს რ, შინა-ვაჭრობის სახკომის ა | წ. 23 ივლისის დადგენილებისა. № 48, ა | კ. ს ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს აგურზე შემდეგი მაგარი საბითუმო საბაზრო ფასები ფონდო-აგურის ქარხანა საქართველოს [illegible] ტერიტორიაზე—მისი გაცემის დროს [illegible] ორგანიზაციებისა და კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის, ისე კერძო პირთათვის:

1-ლი ხარისხის აგური	1.000 ც.	28 მ.
2-რე „ „	1.200 ც.	25 მ.

2. ა | კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის ს ხკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რეაბილიტაციაში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში დაკავებულ ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის განყოფილებას ეგზავნეს ფხიზლად ადგენ ს თვალყურს ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

3. ამა დადგენილების დამრღვევი პასუხისგებაში ექნებიან მიცემული თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონ ბისა.

4. დადგენილება ეხებ ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა | კ ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში **გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე.**

სამმართველოს მდივანი **ა ბ ე ს ა ძ ე.**

ტარტიული და საგზაო ბალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

შაბათს, 25 ივლისს, დილის 10 საათზე, თ. კ. სამდივნოში შესდგება

თ. კ. პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის

თ. კ. მდივანი მიხ. კახიანი.

დღეს, 24 ივლისს, დღის 2 საათზე თ. კ. სამდივნოში შესდგება

თ. კ. სოფლად მუშაობის კომისიის სხდომა

სავალდებულოა [illegible] ამ ბანაგები: ადიკაშვილი, გაგლოევი, ქაცარავა, მელაძე (ალიონი), ბუხნიკაშვილი, ალ. რუხაძე, ბაგაშელი, მესხი, შ. წითლიძე, ფანეულაია, გობეჩია, ფანცხავა, ივ-ნოვ-ყაზაკი, ვაშაძე, (აგრონომი), სიხარულიძე (თ. აღმასკომიდან), გონგადი (ი. ტინერი).

თ. კ. მდივანი მიხ. კახიანი.

დღეს, 24 ივლისს, სიღამის 5 საათზე, ქარხ. მუშეფკაში შესდგება სახუნიერო სიტყვა [illegible] და ქარხ მუშეფკის უფროსის სხდომა კომკავშირის უფროსებთან ერთად დასწრება სავალდებულოა ყველასთვის.

უფროსის ბიურო

განცხადებები

გა . „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის მუშები და მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ მბეჭდავთა კავშირის წევრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **ძველი სტამბის მუშა ასოთამყობი**

ა რ უ თ ი ნ ჯ უ ვ რ ი ა ნ ი

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 26 ივლისს. დასაფლავება ხოჯევანქის სასაფლაოზე 2067 1—1

დაუსრულებელ მწუხარებაში მყოფი გაუბედურებული მეუღლე სათენიკა ალექსანდრეს-ასული თავის პატარა ქალი-შვილით ასაათი აუწყებს თავის ნათესავებს და ამხანაგ-მეგობრებს, რომ კვირას ივლისის 26, ქ. თელავში შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის

ძვირფასი და დაუვიწყარი

ბაგრატ დავითის-ძე მეჩიტაშვილის

ბანდიტების მიერ ვერაგულათ მოკლული წლის თავის აღსანიშნავად შეადგის 12 საათზე, მიცვალებულის საფლავზე.

2062 1—1

გულდათუთქული ცოლი ალბატა, შვილი ალბა, დედა დარეჯანი, ცოლის ძმის შვილი ელენა, ძმები სოლომონი და ბიქტორი, ცოლის ძმები ევგენი და კოწია ტყაბლაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ მეგობრებს, შაბათს 25 ივლისს, დღისით 6 საათზე, იქნება გადახდილ ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე ორმოცი დღის პანაშვიდი მათი საყვარელის

სვევრიანე ყარამანის ძე მახარაძის

2066 1—1

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე—ნინა, შვილი—შალიკო, სიდედრი ანნა ლუკაშვილი, მოყვარე—დავით ლუკაშვილი, სიდედრი—ნატალია, ქვისლები—დათიკაშვილი და თურქაძე, ძმისწულები—მაშო და ელენა, დისწულები—სონა ბოლოლოტუოშვილი, დათიკო კეულიშვილი და ბაგრატა ჟღენტი აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გადაიცვალა მათთვის ძვირფასი

გაბრიელ დავითის ძე კიკვიძე

დასაფლავება მოხდება პარასკევს, 24 ივლისს, ნაშუადღევის 4 ს. ქ. თელავში. 2—2

გაუნელებელ მწუხარებაში მყოფნი: ქმარი ლავრენტი, შვილები: ვალიკო, კოლა, გიორგი, არქიპო, ნეო (პასიკო), თამარ და მიხეილ კანდელაკები, რძლები: კატუშა ვაჩნაძე და აპოლონარი სვანიძე, სიძე აკაკი სირაძე, შვილის შვილები; ნინო, ლილი, ლეილა სირაძენი, ოთარი და გულნარა, ელეონორა, ელენა და შალვა კანდელაკები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ დაუვიწყარ

გულდამ კანდელაკის

უდრ ოვოთ დაკარგვას, დასაფლავება მოხდება სოფ. ნიკორწმინდაში (რაჭა) 1519 3—3

ხელისმოწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № 10—49.

1925 წლის 25 ივლისს

საქართველოს კოოპერატივთა საბჭოს დარბაზში

გაიმართება

საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის აქციონერთა

რაიონულ წარმომადგენლების თანადასწრებით

საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტი.

ნის. 1531 1—1

თბილისის განათლების განყოფილება

ამით აცხადებს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის და ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში მიღები თხოვნები ქ. თბილისისა და თბილისის მაზრის მცხოვრებთა უნდა შემოტანილ ი ნ ნ ეს ბან. განყოფილებაში. თხოვნები განიხილება საატესტაციო კ ო მ ი ს ი ი ს მიერ და წარეგზავნება უმაღლეს სასწავლებელთა მიმღებ კ ო მ ი ს ი ა ში. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს საჭირო სამუშაოები (დედანი და ორი სათანადოთ შემოწმებული ასლი) წლოვანების, განათლების, ნიეთიერი მდგომარეობისა და ორი ფოტოგრაფიული სურათი. თხოვნების მიღება გაგრძელდება ივლისის 20-დან აგვისტოს ა[illegible]. ნ. 1521

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ მგზავრების უფრო ხელსაყრელ პირობებში მიმოსვლისათვის დღისით ბორჯომამდე და ბაკურიანამდე

25 ივლისიდან ინიშნება

ყოველდღიურად თბილისი-ბორჯომს შორის **დამატებითი სამგზავრო** მატარებელი №№ 15 და 16 შემდეგი ცხრილით.

მატ. № 16 გავა თბილისიდან დილის 6 საათზე 00 წ. ყოველდღე
ჩავა ბორჯომში დღის 12 ს. 25 წ. „ „

მატ. № 15 გავა ბორჯომიდან დღის 16 საათზე 15 წ. „ „
ჩამოვა თბილისში საღამოს 21 საათზე 50 წ. „ „

შენიშვნა: მატარებელი № 15 და 16 შეთანხმებულია ბორჯომში მატარებელ № 61 და 4-თან ბორჯომ-ბაკურიანის შორის, ამასთანავე მატ № 61 გავა ბორჯომიდან 13 საათზე 30 წუთზე და მატარებელი № 4 ჩავა ბორჯომში 15 საათზე და 44 წუთზე მოსკოვის დროით.

ნ. 1525 1—1

ზავი ზღვის რკინის გზის სამხრეთ ნაწილის საალმშენებლო სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 10 აგვისტოს, დღის 12 საათისთვის სამმართველოს ბინაზე (სადგურის ქ. № 15) დანიშნულია ზავი ზღვის რკინისგზის სამხრეთ ნაწილის

სად. ახალ-სენაკიდან ზუგდიდამდე მიწის სამუშაოთა გაცემაზე კონკურენცია

კონკურენციაში მონაწილეობისათვის გამოიძახებიან კვალიფიკაციურ მუშების ცალკე ორგანიზაციები, რომლებიც აღმშენებელთა პროფკავშირში რეგისტრაციაში არიან გატარებული და ამის შესახებ აქვთ სათანადო საბუთები.

ასეფთქებელი მასალა, რომელიც საჭიროა კლდის სამუშაოსათვის გაიცემა სამმართველოდან, სამუშაოსათვის ყველა საჭირო იარაღის შეძენა, მის შენახვა და შეკეთება შეადგენს არტელის მოვალეობას.

აღნიშნულ სამუშაოთა აღების მსურველებმა უნდა შეიტანონ 10 აგვისტოს, დღის 12 საათამდე წერილობითი განცხადება დაბეჭდილ პაკეტებში, წარწერით: „ზავი ზღვის რკინისგზის სამხრეთ ნაწილის საალმშენებლო სამმართველოს 1925 წ. 10 აგვისტოს კონკურენციისთვის“.

განცხადებაში საჭიროა აღინიშნოს ყოველ ყარმისათვის ცალ-ცალკე თითო კუბ. მეტრის სამუშაოთა ფასი, 100 მეტრამდე გადმოხიდვის და გადმოტანის ჩათვლით, 100 მეტრზე ზევით კი უნდა აღინიშნოს დამატებითი ფასი ყოველ კუბ. მეტრზე და ყოველ გრძივ მეტრზე.

განცხადება შემოტანილი ზემოაღნიშნულ კონკურენციის დღის 12 საათის შემდეგ დატოვებული იქნება განუხილველად.

განცხადების შემომტანი პირი ვალდებულია კარგად გაეცნოს ზავი ზღვის რკინისგზის სამუშაოთა წარმოების სატეხნიკო პირობებს, რომლების ნახვა შეიძლება სამმართველოს სატეხნიკო განყოფილებაში ყოველდღიურად 9 საათიდან 2 საათამდე, და აგრეთვე მუშაობის წარმოების წესსა და ხასიათს ყარიმის თვისებას და შრომის ადგილობრივ პირობებს.

გ ა ნ ცხადება შეიტანება სამუშაოთა ნაწილობრივ აღსრულებაზე რაოდენობით არა უმეტეს 100.000 კუბ. მეტრისა და მასთან განცხადებაში სისწრაფით უნდა ხელნაწერით აღინიშნოს სამუშაოთა რა დაახლოებით რაოდენობას კისრულობს თავის თავზე ორგანიზაცია და რა საალმშენებლო პაკეტებზე შეა.

განცხადება შეიტანება სათანადო ბლანკებზე, რომლებიც მიეცემა საალმშენებლო სამმართველოდან.

ამა თუ იმ არტელის მიერ აღებულ სამუშაოთა დამთავრების ვადა, დამოუკიდებლად სამუშაოთა რაოდენობისა, დანიშნულია ექვსი თვე.

საალმშენებლო სამმართველოს უფლება აქვს გაადიდოს ან შეამციროს სამუშაოთა რაოდენობა 25 პროც.-ით.

საარტელო მუშების ორგანიზაციის მიერ კონკურენციისათვის საწინდრის წარდგენა არ არის საჭირო. საწინდარი აღებული სამუშაოთა საერთო საფასურის 10 პროც.-ის რაოდენობით შესდგება აღსრულებულ სამუშაოთა ყველა ნაწილობრივ გადასახდელიდან 15 პროც.-ის დაკავებით.

საალმშენებლო სამმართველოს უფლება აქვს გასცეს სამუშაო არა იმ ნაკლებ ფასებში, რომელიც გამოცხადებული იქნება კონკურენციაზე, იმ შემთხვევაში, თუ უფრო მაღალი ფასის განცხადებელი კონკურენტი მეტ ნდობას დაიმსახურებს.

ზავი ზღვის რკინისგზის სამხრეთ ნაწილის

სამუშაოთა ეფროსი ინჟენერი—ქაციტაძე. ნ. 1515 3—3

---

26 ივლისს, დღის 12 საათზე.

ა ა ქ. რკ. გზის სატყეო განყოფილების სატყის სასერრ ქარხანაში, სოფ. [illegible] ფირნის თემი, სენაკის [illegible]

დანიშნულია ზეთის ბანის საჯარო ტაბრობა

რომელშიაც მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წერილობითი განცხადებების შემომტანა დასურულ კონვერტებით და ფასის განცხადება ზეპირადაც

საჯარო ვაჭრობით იჯარით გაცემა

1) ქარხნის მახლობლად, ცხენის წყლიდან სვანეთიდან ჩამოცურებულ მორების ამოთრევა და მათი ქარხნის ეზოში ცალ-ცალკე, ზომების მიხედვით დაწყობა. 2) მორების რიცხვი იქნება დაახლოვებით ოცდა ათი ათასამდე. 3) ფასი თითო მორის ამოთრევისათვის ერთი მეორეზე უნდა იყოს განსაზღვრულად შემოძღერი, შეიძლება გოჯოობითაც (ვერშოკობით) ან კუბ. ფუტ. ანგარიშით. 4) მუშაობა დაიწყება არა უგვიანეს 15 აგვისტოსა, მომუშავეთათვის და მათი კომეჩრების ან ხარებისთვის ქარხნის ეზოში იქნება მიჩნეული განსაკუთრებული ბინა. 5) მუშაობის დანარჩენი პირობების გაგება შეიძლება ქარხნის ანგარაში სოფ. საქილაო, მარნის თემი, სენაკის მაზრა, ყოველ დღე დილის 8—3 საათამდე.

ნის. № 1507—3—3

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება

იწვევს მაზრისათვის ქართული ენის მცოდნე ექიმებს

ბებია-ფერშლებს, ფარმაცევტებს და ფერშლებს

ნ. 1535 1—1. **განყოფილების გამგე.**

თბილისის კომუნალურ განკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ

საჯარო ვაჭრობა

რომელიც იყო დანიშნული ა | წ. 27 ივლისისათვის

გადადებულია

ა. წ. 23 ივლისისათვის;

ვინაიდან 27 ივლისი

ზამოცხადებულია დასვენების დღეთ.

1—1 ნის. 1534.

თბილისის აღმასკომის შრომა-ქონებათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 25 ივლისს დილის 10 საათზე აღმასკომის შენობა ოთახი № 40-ში დანიშნულია შეჯიბრებითი

საჯარო ვაჭრობა

მე-5-ე სამილიციო რაიონში, კომუნალურ ქუჩაზე მდებარე ეგრეთ წოდებულ „სიზამთრო-მოედნის“ იჯარით გასაცემათ. მსურველებს შეუძლიათ პირობების გაგება იმავე ოთახში

შრომა-ქონებათა სამმართველო. 2—1 1522

თბილისის მე-5 უბნის სახალხო სასამართლო

აღმასრულებელი ი. გეგელაშვილი, აცხადებს, რომ 29 ივლისს 1925 წ. საჯარო ვაჭრობით იქნება გაყიდვა შონებისა კა ენიკე ანთიმოზისძე გაბაშვილის და დავით მიხეილისძე დათუაშვილის, შემდეგ რიგზე: გამცემლიძის ქ. № 9 საათზე, მენჩიკოვის ქ. № 5 და დათუაშვილის დილის 11 საათზე კრასნოგორსკის ქუჩ. № 1, რომელიც შესდგება სახლის ავეჯიდან, დასაკმაყოფილებლად ვალის საქართველოს პასუხისმგებელ ზრომის არტელის, თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სისხლ. სამართ. განყოფილ ებ. აღმასრულებელ ფურცელის 2 მარტის 1925 წ. № 9922 ჯამით 5136 მანეთი.

სასამართლოს აღმასრულებელი ი. გეგელაშვილი.

ეძიები გ. მ. ფსალაძე

ქანცა და ბეგერიანი ნუთ. ნიშნიანი (606 914)

ბილება ქ. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ ქალების 6—7 ს. საღ. მოსკოვის ქ. № 6

25—14

ეძიები

ვ ა ლ ვ ე ბ ი

მედიცინის დოქტორი ა. ა. ბოგ ა

ბოზრდილთა და ბავშვთა შინაგ ნ ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით. საპენსიოს ავადმ. № 5 (კოოპერატივის მახლობლად).

25—17 1795

ეძიები გ. ი. ფაპელნიკოვი

ელისაბედის ქ. № 7

სპეციალურად: ვენერიული სნეულებანი, სიფილისი და კანის ავადმყოფობანი.

მიღება ყოველ დღე დილ. 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით შუადღე დილით 10 საათამდე. ქალებისათვის დღის 3—4 საათამდე.

25—16

ეძიები გ. ბოლ ოტეინი

ილებს თვალით ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე ნიკოლოზის ქ. 32. სათვალეების არჩევა და თვალებზე მორგება უფასოთ საქ. საბელმწიფო ოპტიკურ ბრის განყოფილებაში, თავისუფლების მოედანი № 7 დღის 2—4 საათამდე. 25—7

პროფესორი გ. მ. მუსაძე

საზაფხულოთ გაემგზავრა ბორჯომში.

1960 25—6

დავკარგე კომუნალურ მეურნეობის პროფკავშირის წიგნაკი № 3773, ფატმან ცერეცკაძის სახელზე ჩ. გ. 1—1 2061

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 1416 იოსებ ცქიტაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 2069

დავკარგე დროებითი ერთიანი საკავშირო მოწმობა № 108. ივანე სიმონის ძე კობიძის სახელზე ჩ. გ. 1—1 2064

დავკარგე დროებითი საწევრო წიგნაკი აღმშენებელთა კავშირის № 1465 პეტრე ბაგლეს ძე კიკნაძის სახელზე ჩ. გ. 1—1 2063

სიფლად

ბ. ლ ე ბ ე ნ ი

ამას წინად „რემედასის“ სამაზრო კომიტეტის მიერ „რემედასის“ ფონდის გასაძლიერებლად ქალაქის ბაღში მოწყობილ იქნა საღამო-სეირნობა.

ბაღი საგანგებოთ ელექტრონით იყო განათებული, უკრავდა სამხედრო მუსიკა და სიმებიანი ორკესტრი. ბაღში მოწყობილი იყო არედვე „ბუფეტი“, „რემედაისის“ ბაგდა, ლატარეია და სხვა.

საღამოდან წმინდა შემოსავალი დარჩა 134 მ.

„რემედასის“ სამაზრო კომიტეტი ულრმეს მადლობას უხდის საღამოს მოწყობ კომისიის ყველა წევრებს და აგრეთვე იმ პირებს, რომლებმაც აქტიურად მიიღეს მონაწილეობა საღამოს მოწყობაში და მის ღირსეულად ჩატარებაში.

მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ის პირნი, რომელთაც ლატარიის საპროგრამისათვის ნივთაყოფლობით შეეწირეს ოჯახის ზოგიერთი საგნები და სხვა ნივთები.

ამასთანავე ერთად დიდ მადლობას უხდით სიმებიან ორკესტის ხელმძღვანელთ ი. იშხანოვს და გრ. ლალიაშვილს, რომელთაც გაითვალისწინეს რა „რემედასისა“ ფრიად მნიშვნელოვანი მიზნები, სრულიად უსასყიდლოთ მიიღეს შრომა ორკესტრის ძალი შემადგენლობით და ხელი შეუწყვეს საღამოს მხიარულად და წესიერად ჩატარებაში.

დუშეთის მაზრის „რემედას“-ის კომიტეტის თავმჯდომარე **გ ე თ ი ა.**

სოფ. ვანი

(ზოლეთის თემი, გურია)

სოფელი ვანი გურიის სხვა სოფლებთან შედარებით პატარაა. აქ სულ სცხოვრობს 170 კომლი. თავისი მდებარეობით და ჰავით ის მეტად მდიდარი სოფელია, მაგრამ ნივთიერის ბრივ ძლიერ ღარიბი. მიუხედავათ ამისა საყურადღებოა ამ სოფლის კულტურული დაწინაურება.

ამ ჟამად აქ არსებობს 7 წლიანი შრომის სკოლა, კოოპერატივი და აგრეთვე სხვადასხვა წიგნებით მდიდარი სამკითხველო, რომელიც ამ დროამდე მოთავსებული იყო პატარა ხის შენობაში, რომელიც ამ დაწესებულებისათვის უვარგისი იყო.

სწორედ ამისათვის მიმდინარე წელს სოფლის გლეხკომამ გადასწყვიტა აეგო სამკითხველოსათვის ქვის შენობა, რისთვისაც არჩეულ იქნა საალმშენებლო კომისია, რომელიც უკვე შეუდგა თავის მუშაობას და რამდენიმე თვის შემდეგ შენობა დამთავრებული იქნება.

ყველა ზემოჩამოთვლილი დაწესებულებები: სკოლა, სამკითხველო და კოოპერატივი იმყოფება სოფლის შუა ადგილს, სადაც სამწუხაროთ არ მოიპოვება წყალი, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ყველა ამ დაწესებულებათათვის და განსაკუთრებით კი სკოლისათვის, სადაც სწავლობს 200-ზე მეტი მოწაფე. ეს მდგომარეობა მეტად აწუხებდა სოფელს, მაგრამ ნივთიერის ბრივ გაჭირვებული მდგომარეობა აიგილობრივ გლეხობას ვერ აბედვინებდა ამ საქმის ხელის მოკიდებას.

მაგრამ ამ ბოლო ხანებში სოფლის გლეხკომმა აიღო ინიციატივა და გადასწყვიტა ყოველგვარი საშუალება გამონახოს ამ მიზნის მისაღწევად. წყარო, რომელიც გამოდის მახლობელი მთიდან, მდებარეობს დაახლოებით 2—3 ვერსს მანძილზე სოფლიდან, რაც ჩამოყვანა მოითხოვს როგორც შრომას, ისე საკმაო თანხასაც. გლეხკომი და სოფელიც დარწმუნებულია, რომ ყველა სოფლის გულშემატკივარი ამხანაგები არ დაიზარებენ და გაუწევენ შეძლების დაგვარად დახმარებას ამ საქმის დაგვირგვინებას.

ზოგიერთი ამხანაგი უკვე დაპირებულია დახმარებას; იმედია დანარჩენებიც არ დაზოგავენ თავიანთი წვლილის გაღებას და შესაძლებლობის ფარგლებში თანხის გაღებით შესრულებულ იქნება ეს დიდი საქმეც.

სევ. გაბუნია.